ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 ივლისი, 2013 №161 (6162) ფასი: 30 თეთრი

10 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
საოჯახო ტომი 8
სამზარეულო
2 ლარი და 30 თეთრი




# არჩილ კბილაშვილი: „თანამდებობიდან წასვლაზე არანაირი პრობლემა არ მაქვს“

მთავარი პროკურორი ბედუკაძესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ ცვლის

— გვ. 3 —



## გელა ნიკოლაიშვილი: „კბილაშვილის ადგილისთვის ბრძოლა მიმდინარეობს“

გვ. 5

პრემიერი ხისტ განცხადებებს უნდა მოერიდოს



## „ბარბარე რაფალიანცის საქმის გამოძიება წინა ხელისუფლების დროს ჩიხში შეიყვანეს“

გვ. 6



გვ. 2

## მამუკა გიორგაძე: „რუსეთში ლვინის გატანას აფხაზეთი და სამაჩაბლო არ უნდა გადავაყოლოთ“

## დავით უსუფაშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა კბილაშვილს გადაწყვეტილებას უწუნებს“

გვ. 3





გვ. 4

## სოზარ სუბარი: „ხელისუფლებისთვის მთავარი ადამიანის პატივი და ღირსება უნდა იყოს!“



გვ. 4

## ირაკლი ღარიბაშვილი: „პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონი არის პრეზიდენტი!“

9 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 „თანამშრომელთა შერჩევის დროს უპირატესობას მომავალ თაობას მივანიჭებთ

6 გამოკითხულთა უმრავლესობა ნატოსთან დაკავშირებით განმეორებითი პლებისციტის ჩატარების მომხრეა

2 ვინ ილებდა ციხის კადრებს

6 თბილისის მერიამ მშენებლობები განზრახ შეაჩერა?

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მამუკა გიორგაძე: „რუსეთში ღვინის გატანას აფხაზეთი და სამაჩაბლო არ უნდა გადავაყოლოთ“

თამარ ნინიძე

სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძემ თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებულ ინციდენტზე „პრაიმ-ტაიმის“ ოფისში ისაუბრა.

— საერთაშორისო ოფიციალურ ტურნირებში, შესაძლებელია, რუსეთის წარმომადგენლებთან გვქონდეს შეხვედრა, უნდა იყოს მკვეთრად წარმოდგენილი პოზიცია, რომ საერთაშორისო ეგიდით არის ეს შეხვედრები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოკუპანტი ქვეყნის გუნდს ვეთამაშებით. ამას შეიძლება ჰქონდეს ახსნა, მაგრამ, როცა ამხანაგურ თამაშებს ვმართავთ, „ამხანაგური“ სიტყვა მოვლენის შეფასების საშუალებას ქმნის, ეს უკვე ქვეყნის პოლიტიკური პოზიციის გამოხატვაა. ოკუპანტ გუნდთან ამხანაგური თამაში ნიშნავს ხელისუფლების დამოკიდებულებას საკითხისადმი, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობასა და სპორტულ სამყაროს ატროფირებული აქვს ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა. ამას უყურებს მსოფლიო თანამეგობრობა. უნდა ვიკითხოთ, რა შეფასებას მისცემს ამას დასავლეთის საზოგადოებრიობა. ამ დროს, ვითხოვთ იმას, რომ დასავლეთმა დაიცვას ჩვენი ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ასეთ ნაბიჯს ვდგამთ. ამ შეხვედრის ორგანიზატორები საკუთარ თავს ამხელენ, გამოაცხადეს, რომ ეროვნული სიმბოლიკები არ იქნება სტადიონზე თამაშის დროს. თუ იცი, რომ ეს პოლიტიკურად იქნება აღქმული და ამან შეიძლება საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვიოს, იცი, რა პრობლემას ჰკიდებ ხელს და მაინც მიდიხარ ამ პრობლემაზე. „დინამოსთან“ არანაირი შეხების მქონე რონალდუს ჩამოყვანა ეს ამ სკანდალის გადაფარვას ემსახურება, ისიც ვიცით, რომ რონალდუ ყველგან ასე არ დადის. გამოდის, რომ გარკვეული თანხის გარეშე ის არ ჩამოუყვანიათ, — აცხადებს მამუკა გიორგაძე.



სახალხო პარტიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ არაადეკვატური იყო შს მინისტრის განცხადება, რომ რა აქვს სათქმელი სააკაშვილს, რომელმაც საქართველოში დუმის ხუთი დეპუტატი ჩამოიყვანა, მაშინ როცა ჩვენ მხოლოდ ორი დეპუტატი ჩამოვიყვანეთო. ეს გაუგებარი დამოკიდებულებაა, მაგრამ ქართველ საზოგადოებას რას პასუხობს, რას ეუბნება სახალხო პარტიას, ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედი ხელისუფლება მაქსიმალურად სარგებლობს წინა ხელისუფლების დანაშაულით და აძლიერებს რუსულ გავლენას ქვეყანაში.

მამუკა გიორგაძის აზრით, ღვინისა და ციტრუსების გატანა რუსეთში არ უნდა იყოს საპირწონე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვისა. სავაჭრო მოლაპარაკებები საქართველოს მხარეს მხოლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით უნდა განეხორციელებინა. გიორგაძემ გაიხსენა, რა პირობებში გაწევრიანდა საქართველო დსთ-ში, როგორ ჰპირდებოდა რუსეთი მას თაფლისა და რძის მდინარეებს და შედეგად რა მივიღეთ, ამიტომ რუსული გავლენის გაძლიერებას გიორგაძე სახიფათო ტენდენციად მიიჩნევს.

„არაერთხელ მსმენია, რომ ბიზნესი, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ, მაგრამ რუსეთი არის ის ქვეყანა, რომელიც ამას ერთმანეთისგან არ მიჯნავს. მოვუწოდებ ხელისუფლებას, დაფიქრდეს, ნუ იფიქრებს, რომ ქვეყანაში მხოლოდ ნაცმოძრაობაა და სხვა პარტიები არ არიან და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს“, — აცხადებს მამუკა გიორგაძე.

# ვინ ილეზდა ციხის კადრებს

თამარ ნინიძე

**„პატრიოტთა ალიანსის“ წევრი გიორგი ლომია „პრაიმ-ტაიმის“ ოფისში პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ შეეხო ციხის გახმაურებული კადრების ისტორიას და შეახსენა მოქმედ ხელისუფლებას, რომ მხოლოდ ბედუკაძის წვლილი ამ კადრების გავრცელებაში არ ყოფილა.**

ლომიას თქმით, მთავარი პროკურორის განცხადება, რომ ეს იყო ასი პროცენტით ბედუკაძის მიერ გადაღებული და გავრცელებული კადრები, ასე არ არის, რადგან ეს ასი პროცენტით მხოლოდ ბედუკაძეს არ გადაუღია. ჩამწერი ღილებით ხდებოდა კარანტინის დაშლის კადრების გადაღება და აქ მთელი ჯგუფი მონაწილეობდა, ლომია საუბრობს ფარულავასა და აკობიას წვლილზე და აცხადებს, რომ ამ კადრების გამოტანაში სხვა ადამიანების წვლილი არანაკლები იყო, ვიდრე ბედუკაძის. აქ არის ორი შემთხვევა, ერთია კარანტინის კადრები, რომელზეც რვა ადამიანი მუშაობდა და არის წამების ამსახველი კადრები, აქვე ლომია ამბობს, რომ ის არ არის მომხრე ბედუკაძის ხელახლა დაკავებისა, ეს მხოლოდ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ციხის კადრების გადაღება დაიწყო 2010 წლიდან, კამერები დარიგებული ჰქონდათ ციხის თანამშრომლებს და ისინი ილებდნენ აბსოლუტურად ღიად, 2011 წელს კი, როცა ეს კადრები გამოიტანეს ციხიდან, ლომია ამბობს, რომ ის და მისი გუნდი მსჯელობდა, როგორ გაევრცელებინათ ეს კადრები და მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის, მაშინ ჯერ კიდევ ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის საკითხი არ იდგა. ლომია ამბობს, რომ ჯგუფი ბელგიაშიც და საქართველოშიც მსჯელობდა მთელი რვა თვის მანძილზე, როგორ გაევრცელებინათ ეს კადრები, ამის შემდეგ მოხდა დაკავშირება ირმა ინაშვილთან და მისი დახმარებით მოხერხდა ამის გავრცელება.

„ჩვენი მიზანი იყო სტრასბურგის სასამართლოში გაგვეტანა ეს ისტორიები და ბედუკაძე არ იცავდა უსაფრთხოების ზომებს, ჩვენ მას შევთავაზეთ, მაისში დაეწერა განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ და უზრუნველვყავით მისი საზღვარგარეთ გაყვანა, მაგრამ ის საქართველოში უკავშირდებოდა გარკვეულ წრეებს და არ იცავდა პირადი უსაფრთხოების ზომებს“, — ამბობს ლომია.

პატრიოტთა ალიანსის წევრი გიორგი ლომია აცხადებს, რომ სრულად გამორიცხავს მერაბიშვილის როლს ამ კადრების გავრცელებაში. მისი აზრით, მერაბიშვილმა იცოდა, რაც ხდებოდა ციხეებში, მაგრამ მან ის არ იცოდა, რომ ეს კადრები გატანილი იყო. ამ კადრების გამავრცელებელი ჯგუფი თვლიდა, რომ უნდა დამდგარიყო სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიას პასუხისმგებლობის საკითხი. მისი აზრით, ივანიშვილს რომ მერაბიშვილთან რაიმე სახის გარიგება ჰქონოდა, დღეს მერაბიშვილი ციხეში არ იქნებოდა.

გიორგი ლომიას თქმით, ნაცმოძრაობა დამნაშავე პოლიტიკური გაერთიანებაა და მან კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი ადამიანების მასობრივი წამების ფაქტების გამო, იმის გამო, რომ ცხრა წელი შიშისა და ტერორის ქვეშ ამყოფა მთელი ქვეყანა.

# „თავისუფალი ზონის“ წევრებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე სასამართლო გადაწყვეტილებას დღეს გამოაცხადებს

თბილისის საქალაქო სასამართლოში „დინამო არენაზე“ მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებული სამი პირის პროცესი დასრულდა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას დღეს გამოაცხადებს.

ბრალდების მხარე დაკავებულებს წვრილმან ხულიგნობას, პოლიციის შეურაცხყოფასა და წინააღმდეგობის გაწევას ედავება.

„2008 წელს ავტომატი მეკავა და საომრად ვიყავი. ახლაც მზად ვარ და ვთვლი, რომ ახლაც ვიბრძვი სიტყვით, კალმით, მიკროფონით და თურმე ამისთვის მჭირდება მე აღზრდა, თურმე აღსაზრდელი ვყოფილვარ, იმიტომ , რომ არ ვაღიარებ აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობას და ვიბრძვი იმისთვის, რომ ისევ ჩვენს იურისდიქციაში იყოს. თუ ამისთვის აღსაზრდელი ვარ , ჩამსვით, 20 დღე კიარა , 41 წელი“,-განაცხადა ბრალდებულმა ირაკლი ცხვირკვაიამ.

გუშინდელი პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატმა გიორგი ონიანმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ არაფრით არ დასტურდება სიტყვიერი შეურაცხყოფა ბრალდებულების მხრიდან. „ მითუმეტეს მინდა დავადასტურო, რომ ეს ხდება სტადიონის ტერიტორიაზე, სადაც დადიან გულშემატკივრები და აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ შეიძლება მივაწეროთ ერთი შეგინების ხმა ამ ადამიანებს, მაშინ როდესაც იქ იგინებოდა თითქმის მთელი სტადიონი. სტადიონზე ეს არის ისეთი მოვლენა, რაზეც პატიმრობას არ უსჯიან“,-აღნიშნა ონიანმა.

შეგახსენებთ, რომ თავისუფალი ზონის სამი წევრი „დინამო არენის“ სტადიონის ტერიტორიიდან 7 ივლისს აიყვანეს. ისინი საქართველოში რუსი დეპუტატის ვიზიტს ტრანსპარანტებით აპროტესტებდნენ.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძემ ფოთში პარტიის ოფისი და საარჩევნო შტაბი გახსნა



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, გუშინ ფოთში, პარტიის ოფისი და საარჩევნო შტაბი გახსნა.

ოფისის გახსნამდე კი, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის,“ აირაი-ს წარმომადგენლებმა, სასტუმრო „ანკორში“ პარტიის წევრთათვის ტრენინგები ჩაატარეს.

ტრენინგებს „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის მხარის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბი, დღეს ბათუმშიც გაიხსნება.

ნიუსპრესი

# „თანამშრომელთა შერჩევის დროს უპირატესობას მომავალ თაობას მივანიჭებთ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სამინისტროს თანამშრომელთა შერჩევის დროს, უპირატესობა მომავალ თაობას მიენიჭება.

ეს განცხადება მინისტრმა იმ სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა, რომლებიც სამინისტროში კონკურსის წესით შეირჩნენ.

,,ისეთ უწყებაში, როგორიც შინაგან საქმეთა სამინისტროა, ვფიქრობ, ახალი კადრების შერჩევისას ყველაზე მეტი სიფრთხილე და დაფიქრება გვმართებს. განსაკუთრებით კი მომავალი თაობის კუთხით. დროთა განმავლობაში, ვინც ამჟამად მუშაობს, მათი საქმე გადაიხედება და შესაბამისად მათი რიცხვიც შემცირდება, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ რიცხვის კვლავ გაზრდა ბევრად გაგვიჭირდება. ჩვენთვის მეტად უფრო პრიორიტეტულია ის, რომ მომავალ თაობას მიეცეს მეტი უპირატესობა. ჩვენ ახალი, დემოკრატიული საქართველო უნდა ავაშენოთ“ — განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სამინისტროში კონკურსის წესით შერჩეულ 30 სტუდენტს შეხვდა. ახალგაზრდები გამოსაცდელი ვადით შსს-ს სხვადასხვა დანაყოფებში დასაქმდებიან, ხოლო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 110 სტუდენტი, სამინისტროში სტაჟირებას გაივლის. წარჩინებული სტუდენტების შერჩევა-შესწავლის პროცესი მაისის თვეში დასრულდა.

ნიუსპრესი




# სადახლოზე არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

სადახლოს საბაჟო გამჩევ პუნქტზე 4607,13 ლარს ღირებულების ოქროს არადეკლარირებული ნაკეთობები აღმოაჩინეს. კერძოდ, ს.გ.პ. „სადახლო“-ს გავლით სომხეთიდან საქართველოში რუსეთის მოქალაქე ანა ა. შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მოქალაქის ფიზიკური დათვალიერებისას, ანა ა-ს, ყელსაბამზე ასხმული ოქროს ნაკეთობები მათ შორის: სამაჯური 1ც, ყელსაბამი 3ც, ჯვარი 2ც, გულსაკიდი 4ც, საყურე 5 წყვილი, ბეჭედი 11ც, ოქროს საათი 1ც, ოქროს საათი სამაჯურით 1ცალი, საათის მექანიზმი 2 ც, საერთო წონით 133,62 გრამი აღმოაჩნდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან.

თბილისის აეროპორტის ექსპერტიზის განყოფილების დასკვნის თანახმად, საქონლის სატარიფო ღირებულება 4607,13 ლარს შეადგენს. რუსეთის მოქალაქე ანა ა-ს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 289 მუხლის 10 ნაწილის საფუძველზე დაეკისრა ჯარიმა 4607,13 ლარის ოდენობით.

მედიანიუსი

# მიხეილ სააკაშვილმა ევროკომისარი შტეფან ფულე მიიღო




გუშინ თბილისში საქართველოს პრეზიდენტი ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულეს შეხვდა.

შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართა და მას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და კახეთის გუბერნატორი — საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში ზურაბ ჭიაბერაშვილი ესწრებოდნენ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით უსუფაშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა კბილაშვილს გადაწყვეტილებას უწუნებს“

შორენა მარსაგიშვილი

ერი და ბერი თითქმის 3 დღე ელოდა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას. დავით უსუფაშვილს განცხადება ჯერ კიდევ 6 ივლისს უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ამისთვის მხოლოდ გუშინ მოიცალა. 6 ივლისს ის და ნასპიკერალი დავით ბაქრაძე ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ დახურულ კარს მიღმა. ამ შეხვედრის დეტალებზე მხოლოდ ბაქრაძემ ისაუბრა. გუშინ კი უსუფაშვილი ალაპარაკდა. თუმცა ამ დროისთვის მათი შეხვედრა აღარ იყო აქტუალური. მთავარი პროკურორის და ბიძინა ივანიშვილის მიწერ-მოწერამ თითქმის ყველა თემა გადაფარა. მედიასაც უსუფაშვილისგან იმის გარკვევა აინტერესებდა, რას ფიქრობდა ის ლადო ბედუკაძის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბედუკაძის გათავისუფლება პირველმა სპიკერის თანამეცხედრემ, დეპუტატმა თინა ხიდაშელმა გააპროტესტა.

საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის მოსაზრებას უსუფაშვილიც იზიარებს. პარლამენტის თავკაცი ბედუკაძის გათავისუფლებას მიზანშეუწონელ გადაწყვეტილებად აფასებს. ამასთან უსუფაშვილი აცხადებს, რომ მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის, გადაწყვეტილება ბედუკაძის საქმეზე სამართლებრივად სწორია. მისი თქმით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კანონიერი და უკანონო გადაწყვეტილება:

— ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, რომ რამდენჯერაც რომელიმე მოსამართლის ან პროკურორის გადაწყვეტილება არ მოგვეწონება, ისინი რომ გავათავისუფლოთ, სად მივალთ? უნდა გავმიჯნოთ უკანონო გადაწყვეტილება და კანონის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, რომელზეც შესაძლოა აღმოაჩნდეს განსხვავებული ხედვა სხვადასხვა თანამდებობის პირს თუ მოქალაქეს. მთავარ პროკურორს ბედუკაძის საქმეზე კანონი არ დაურღვევია და ამის მტკიცებულება არის ის, რომ შუამდგომლობა დაამტკიცა მოსამართლემ, ვის გადაწყვეტილებასაც აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა, კანონიერია თუ არა. მე არ მაქვს არანაირი საფუძველი ვიფიქრო, რომ მისი გადაწყვეტილება იყო უკანონო. კოალიციაში ვერ ვიხსენებ ვინმეს ეთქვას, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ტიპის საქმეზე მსგავსი გადაწყვეტილება არ არის მიზანშეწონილი. მოსაზრებები შეგვიძლია ხმამაღლა გამოვთქვათ, მაგრამ კანონის ფარგლებში უნდა ვიმოქმედოთ, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე უსუფაშვილმა კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეზე ისაუბრა. რამდენიმე დღის წინ თბილისის ზღვაზე მამუკა მიქაუტაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, ის პოლიციელებმა დაკითხეს. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მიქაუტაძეს სცემეს და ჩვენება ასე დააწერინეს.

ამ საშინელ ფაქტზე ამ დღეებში ბევრი ეჭვი და ვარაუდი გამოითქვა. მიქაუტაძის საქმეზე პარლამენტის თავკაცსაც აქვს კითხვები.

— ის ტრაგიკული მოვლენა, რომელიც ეხება მოქალაქის გარდაცვალებას იმ ვითარებაში, როცა გამოძიების პროცესია და მომხდარი თვითმკვლელობაზე მიანიშნებს, მეც გამიჩნდა ძალიან ბევრი კითხვა ამ ფაქტთან დაკავშირებით. პასუხები ჯერ არ მაქვს და მეც დიდი ინტერესით ველოდები გამოძიების დასრულებას. ფაქტები დღეისთვის ცნობილი გახდა სხვადასხვა წყაროებიდან. ადვოკატები საუბრობენ კონკრეტულ დეტალებზე, ეს ყველაფერი თუ სიმართლეს შეეფერება, მგონი, კითხვები კიდევ უფრო მეტია, მაგრამ დასკვნებისა და ვარაუდებისგან მე პირადად თავს შევიკავებდი. ბოდიშის მოხდით, მაგრამ მაინც მივმართავდი ჩემს ყოფილ კოლეგებს არასამთავრობო სექტორიდან, რომ ასეთ სერიოზულ საკითხებზე პრინციპულობა და პრინციპული პოზიციის დაკავება არ ნიშნავს, რაც შეიძლება მეტი წინასწარი ვარაუდის გამოთქმას. პრინციპულობა ნიშნავს საკითხის ბოლომდე მიყოლას, კითხვების რაც შეიძლება მეტად, მკაფიოდ და კვალიფიციურად დასმას და ამასთანავე, რაც შეიძლება მეტად თავის შეკავებას წინასწარი ვარაუდებისგან და დასკვნებისგან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დასმულ კითხვებს ჰქონდეს სათანადო წონა და სათანადო ავტორიტეტი. ყველა ასე მოვიქცეთ, ვისაც საქმის ინტერესი გვაქვს და გვინდა ბოლომდე გავარკვიოთ ეს საქმე. ამასობაში თუ გავიდა 1 კვირა, 3 კვირა, თვე და არავინ დამაჯერებელ პასუხს არ გვეუბნება, აი, მერე დგება დრო, ვარაუდების. თუ დანიშნულია ექსპერტიზა, მაშინ ალბათ სჯობს თავი შევიკავოთ პირადი დასკვნებისგან, ესა თუ ეს დაზიანება სხეულზე შესაძლებელია თუ არა მიყენებული იყოს იქედან და აქედან. ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ მინდა, რაც შეიძლება სერიოზული წონა ჰქონდეს საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დასმულ კითხვებს. იმიტომ, რომ თუ ამ კითხვებმა წონა და ავტორიტეტი დაკარგა, მაშინ ამითი იხეირებენ ბოროტმოქმედები, რომლებიც შესაძლოა კვლავაც არიან მოკალათებული ბევრგან და მათ შორის, პოლიციის ორგანოებში. ამ კონტექსტში ვამბობ მხოლოდ, — აღნიშნავს უსუფაშვილი.

პრესკონფერენციაზე უსუფაშვილმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემიერთან გამართულ დახურულ შეხვედრაზეც ისაუბრა. სპიკერი შეხვედრაზე მიღწეული შედეგით კმაყოფილია.

— საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა იყო. გადაწყვეტილებებიც იქნა მიღებული. საქმე ეხება საკონსტიტუციო კომისიის შექმნას, რომელიც თვის ბოლომდე დასრულდება და ამით დაიწყება ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა. ამის პარალელურად, ინიცირებულია რამდენიმე ცვლილება კონსტიტუციაში, რომელზეც პარლამენტი სექტემბერში იმსჯელებს, — განაცხადა უსუფაშვილმა.

იმ შეხვედრაზე პარტიულ შემომწირველებზეც იყო საუბარი. ბაქრაძე კმაყოფილი ღაღადებდა, რომ შემომწირველების დაკითხვა აღარ მოხდებოდა. ამ თემაზე უსუფაშვილმაც ისაუბრა. მისი განცხადებით, პარტიულ შემოწირულობებთან დაკავშირებით მიღებული ამნისტია მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართაც უნდა შესრულდეს.

— საუბარი გვქონდა ამნისტიის თაობაზე, რომელიც გამოცხადდა შარშან კონტროლის პალატის დამსახურებით განხორციელებული რეპრესიების გამო. ჩვენ ამ თემაზე მივიღეთ ამნისტია და ის ამნისტია უნდა შესრულდეს ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ, — განაცხადა უსუფაშვილმა.

სპიკერმა ვერც ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს აუარა გვერდი. ის ამ არჩევნებზე დიდ იმედს ამყარებს და მოხარული იქნება, თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი ბელადომანიის დამთავრებას დაადასტურებს.

— მე მოხარული ვიქნები, თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვიხილავთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმს, რომლითაც დავინახავთ, რომ ქვეყანაში მართლაც დასრულდა ბელადომანია და აღარ გვეყოლება 95%-ით არჩეული პრეზიდენტი. ეს იქნება დასტური იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები პოლიტიკური განვითარების და პოლიტიკური სიმწიფის სხვა საფეხურზე ავიდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს, თუმცა არა 95%-ით, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ქვეყანაში დიდი გნიასი ატყდა იმის გამო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლოა პაატა ბურჭულაძემაც იყაროს კენჭი. დავით უსუფაშვილი პაატა ბურჭულაძეს წარმატებას უსურვებს ყველა საქმეში, გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა.

— პაატა ბურჭულაძის სახელი და გვარი თითოეული ჩვენგანისთვის ასოცირდება სიამაყესთან და მე შეგახსენებთ, რომ ბატონი პაატას შემოქმედებითი მწვერვალები დაემთხვა საქართველოში ყველაზე მძიმე პერიოდს. მას მხოლოდ მადლობა შეიძლება ვუთხრათ იმ ყველაფრისთვის, რაც მან სცენაზე და შემდეგ საქველმოქმედო საქმიანობით წამოიწყო და უძღვება. მე მას წარმატებას ვუსურვებ ყველა საქმეში. რაც შეეხება არჩევნებს, აქ უკვე ცოტა სხვაგვარად არის საქმე. მე, რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობ კანდიდატს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა. ჩვენ შევარჩიეთ ისეთი კანდიდატი, რომელიც არ დატოვებს კითხვას მოსახლეობის უმრავლესობაში, თუ ვინ უნდა იყოს ქვეყნის პირველი პირი. არ ვაპირებ ვისაუბრო ამა თუ იმ კანდიდატის ღირსებაზე, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის უპირატესობა აშკარაა, — განაცხადა უსუფაშვილმა.




საკანონმდებლო ორგანოს ადგილმდებარეობის შეცვლის საკითხი ისევ აქტუალურია. დეპუტატების დიდი ნაწილი პარლამენტის თბილისში დაბრუნებას ითხოვს. უსუფაშვილი გვპირდება, რომ პარლამენტი თბილისში წლის ბოლოს დაბრუნდება. ამასთან ამბობს, რომ პარლამენტი ქუთაისს სამუდამოდ არ დაემშვიდობება და შენობაც პარლამენტს დარჩება.

— პარლამენტმა შეიძლება იმუშაოს თბილისში, ქუთაისშიც და სხვაგანაც, თუ ამას გადაწყვეტს. პარლამენტის მუშაობაში ჩვენ არ უნდა დავინახოთ მხოლოდ პლენარული სხდომები, არის საკომიტეტო მუშაობა, არის კომიტეტების გასვლითი სხდომები. ეს შენობა დარჩება პარლამენტის გამგებლობაში და ჩვენ შესაძლოა აქაც ვიმუშაოთ. ასე რომ, პარლამენტი წლის ბოლოდან თბილისშიც იმუშავებს. თბილისში პარლამენტის ძველი შენობის რემონტი და აღჭურვა საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. წლის ბოლომდე შენობა მზად იქნება, რომ პარლამენტმა იქ იმუშაოს, რაც შეეხება პარლამენტის ად-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# არჩილ კბილაშვილი: „თანამდებობიდან წასვლაზე არანაირი პრობლემა არ მაქვს“

## მთავარი პროკურორი ბედუკაძესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას არ ცვლის

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ სრულიად საქართველოს ყურადღება მთავარი პროკურატურისკენ იყო მიპყრობილი. არჩილ კბილაშვილის საგანგებო ბრიფინგს ყველა მოუთმენლად ელოდა. იყო ვარაუდი, რომ მთავარი პროკურორი პოსტს დატოვებდა. მედია და ექსპერტები მის შესაძლო შემცვლელებზეც დაუღალავად საუბრობდნენ. ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას მოჰყვა. 8 ივლისს პრემიერმა კბილაშვილს უსტარი მისწერა და ლადო ბედუკაძესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა.**




პრემიერის მოწოდება ერის დიდმა ნაწილმა „კბილასთვის“ გამოტანილ განაჩენად ჩათვალა. ეგონათ რომ ის ან პოსტს დატოვებდა, ანდა გადაწყვეტილებას წაიღებდა უკან. სააკაშვილის მმართველობის ხანაში პრეზიდენტის ნების წინააღმდეგ ვერავინ ბედავდა წასვლას. ჰოდა ჩათვალეს რომ ახლაც ასე იქნებოდა. მოლოდინმა არ გაამართლა და მთავარმა პროკურორმა ყველას დასანახად გამოაჩინა კბილები. მან ყველას, მათ შორის პრემიერის გასაგონადაც განაცხადა, რომ ბედუკაძის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერი იყო.

— საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სასამართლოში მიდიოდა საქმის განხილვა, რომელიც სექტემბერში, მასობრივი მედია საშუალებებით გავრცელებული ვიდეომასალის ავტორების და ამ ვიდეომასალებში ასახული პირების პასუხისმგებლობის საკითხს განსაზღვრავდა. ეს სასამართლო დასრულდა და მის დასრულებამდე ერთ-ერთ პირთან, ვლადიმირ ბედუკაძესთან განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, რომლის თანახმადაც ის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა.

ფორმალურად, საკითხი მოწესრიგებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218 მუხლით. კერძოდ კი, 218 მუხლის პირველი ნაწილი, მთავარ პროკურორს ნებისმიერ დანაშაულზე აძლევს უფლებას ნებისმიერი პირი გაათავისუფლოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისაგან, ან მიიღოს სხვაგვარი გადაწყვეტილება სასჯელის გადახედვის საკითხზე. ეს პირი შეიძლება იყოს ბრალდებული ან მსჯავრდებული. ასეთ უფლებამოსილებას კანონი ითვალისწინებს. ფორმალური თვალსაზრისით, მთავარი პროკურორის უფლება, მიეღო ის გადაწყვეტილება, რომელიც ამ შემთხვევაში ბედუკაძის მიმართ განხორციელდა, კანონითაა განსაზღვრული. ამრიგად, იყო თუ არა გადაწყვეტილება კანონიერი, არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან კანონი ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

შვიდივე ეპიზოდი, რომლებიც ვიდეოებზეა აღბეჭდილი, 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. სასჯელის შეკრებითობის პრინციპის თანახმად, ყველაზე მინიმალურებიც რომ შეგვეკრიბა, სასჯელი სადღაც 60 წლამდე ავიდოდა.

როდესაც ბედუკაძემ მასალის გასაჯაროების გადაწყვეტილება მიიღო, მან ფაქტიურად საკუთარი თავი ამ სასჯელის მიღებას დაუქვემდებარა. ეს იყო ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ჰქონდა მას, თუმცა საფრთხეებისგან არც მისი ოჯახი იყო დაცული.

ამ კადრების გასაჯაროების გადაწყვეტილების მიღების დროს, ბედუკაძეს არანაირი რწმენა და იმედი არ ჰქონია, რომ მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ან ვინმე სხვა გახდებოდა და ამის გამო მას რაიმე სახის გათვლები გაეკეთებინა. ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც იმ დროს, მისთვის საფრთხის შემცველი იყო. ჩემს მიერ მხედველობაში ესეც იქნა მიღებული.

თანაც ამ ადამიანს, ამ ვიდეომასალით არ უვაჭრია და ფული არ აუღია. ეს არ გამხდარა პოლიტიკური ან კომერციულ სპეკულაციის საგანი. ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

ამასთან, მათ გასაგონად ვიტყვი, ვინც თვლის, რომ დამნაშავე გარეთ არ უნდა დადიოდეს, მე მაქვს აზრი და ხმამაღლა ვამბობ კიდეც, რომ გარეთ უამრავი დამნაშავე დადის და ამ დამნაშავეებს უფრო დიდი თანამდებობაც უკავია, ვიდრე ბედუკაძეს, — განაცხადა მთავარმა პროკურორმა.

არადა ბევრი ელოდა, რომ ის თავის გადაწყვეტილებას შეცვლიდა, უკიდურეს შემთხვევაში კი პოსტს დატოვებდა. თანამდებობიდან არ წასულა, თუმცა ამბობს რომ პოსტის დატოვება არანაირი პრობლემა არ იქნება მისთვის.

— ჩემი თანამდებობა დროში გაწერილი არ არის. მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა და მოხსნა იუსტიციის მინისტრის წარდგინებით და პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ხდება. ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს — დღეს, ხვალ, ერთი წლის , ან 10 წლის შემდეგ. არასდროსთქო — არ ვიტყვი, რადგან ეს აუცილებლად მოხდება. მე პირადად, ნებისმიერ დღეს, ყოველთვის მზად ვარ, რომ ასეთი გადაწყვეტილება დადგეს და ამის არანაირი პრობლემა არ მაქვს“ — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორის პრესკონფერენციას გულისფანცქალით ელოდნენ ნაციონალები. მათაც იმედი ჰქონდათ, რომ კბილაშვილი უკან დაიხევდა. „კბილამ“ ნაცმოძს იმედი გაუცრუა და მათმა აღშფოთებამაც არ დააყოვნა.

ნაციონალების სახელით აღშფოთება დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა გამოხატა. ის და ნაცმოძი კბილაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს სვამენ.

— კბილაშვილმა თავისი გამოსვლით, დაადასტურა ეჭვი, რომელიც საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია არსებობდა იმის შესახებ, რომ ციხეში ადამიანების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კადრები, ბედუკაძემ, ჩვენთვის უცნობ პირებს არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გადასცა. ჩვენ გვაინტერესებს ვინ არიან ის პირები, რომლებიც ერთი წლის მანძილზე დანაშაულს ფარავდნენ. რატომ ელოდებოდნენ იმ მომენტს, რომ ეს კადრები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ. ამ პირებმა პრაქტიკულად, შესაძლებლობა მისცეს იმ ჯგუფს, რომლებიც ციხეში ადამიანების წამებას ახორციელებდნენ, რომ ეს დანაშაული კიდევ ერთი წლით გაეხანგრძლივებინათ. გვაინტერესებს რა კავშირია 2011 წლის სექტემბერში ბედუკაძის მიერ ამ კადრების გამოტანასა და ბიძინა ივანიშვილის მიერ ოქტომბერში გაკეთებულ განცხადებას შორის, მაშინ როდესაც ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას, პოლიტიკაში მოსვლის შესახებ ამცნო, — განაცხადა ნადირაშვილმა.

ამის გარდა საპარლამენტო უმცირესობა მთავარი პროკურორისგან იმ პირების დასახელებასაც მოითხოვს, ვინც მთელი ერთი წლის განმავლობაში დანაშაულს ფარავდა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონი არის პრეზიდენტი!“

ნათია ხურცილავა

ირაკლი ღარიბაშვილი კვალავ თავის პოზიციაზე რჩება. ის მიიჩნევს, რომ ქვეყნის მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა პრემიერ-მინისტრის შეხედულება უნდა გაიზიაროს ლადო ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით.

— ვიზიარებ პრემიერის პოზიციას და ვთვლი, რომ ეს არჩილმაც უნდა გაიზიაროს, — ამბობს ღარიბაშვილი.

მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა კი აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილების გადახედვა შეუძლებელია.

ღარიბაშვილი ასევე გამოეხმაურა პრეზიდენტის განცხადებას რუსეთის დუმის დეპუტატების საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით. ღარიბაშვილი პრეზიდენტს ახ-




სენებს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ დუმის დეპუტატები საქართველოში იყვნენ შემოსული და მათი შემოსვლა პირველად ომის შემდეგ ახლა არ მომხდარა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, როგორც ახალი მთავრობის წევრისთვის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მნიშვნელობა აქვს კანონს, წესრიგსა და წესიერებას.

— პირველ რიგში, მინდა, ორიოდე სიტყვით ვუპასუხო ბატონ პრეზიდენტს და საზოგადოებას ავუხსნა და მივაწოდო რეალური ინფორმაცია. პირველი, მე მოვისმინე ბრალდება, რომ თითქოს ჩვენ, ჩვენმა მესაზღვრეებმა და ზოგადად ჩვენმა სამინისტრომ და პირადად მე შემოვუშვი რუსი ოკუპანტის წარმომადგენელი, რუსეთის დუმის წარმომადგენელი — დეპუტატი. მე მინდა, აქვე შევახსენო ყველას, მათ შორის ბატონ პრეზიდენტს და ზოგადად საზოგადოებას განვუმარტო, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის შემდეგ, 5 დეპუტატი, მათ შორის „ედინნაია რასიას“ წარმომადგენლები იყვნენ შემოსული საქართველოს ტერიტორიაზე. მე მაქვს ლოგიკური შეკითხვა: თუ დღეს, უფრო სწორად, გუშინ სპორტული ღონისძიების დასასწრებად ჩამოსული რუსეთის დუმის დეპუტატი უქმნის პრობლემებს საქართველოს უსაფრთხოებას, ისმის კითხვა, რატომ არ უქმნიდა რუსეთის დუმის 5 დეპუტატი იმავე პრობლემას საქართველოს წინა ხელისუფლებას. აქ არის ძალიან მარტივი რეალობა, ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური სპეკულაციები და ძალიან სამწუხარო პირადად ჩემთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის პრეზიდენტის აღნიშნული განცხადების მოსმენა. რაც შეეხება მეორე ბრალდებას დაკავებული სამი ახალგაზრდის თაობაზე, მე აქვე მინდა, ასევე ობიექტური ინფორმაცია მივაწოდო საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ტყუილია, რომ ეს ახალგაზრდები დააკავეს იმის გამო, რომ თითქოს ისინი აგინებდნენ, თუ შეურაცხყოფას აყენებდნენ ოკუპანტებს და რომ ისინი ითხოვდნენ თურმე აფხაზეთის გათავისუფლებას ოკუპანტებისგან და თითქოს ამის გამო დააკავეს ისინი პოლიციელებმა. მე ვიტყოდი, რომ ეს არის უდიდესი შეურაცხყოფა მთლიანად ჩვენი ხალხის, ჩვენი ერის და მთლიანად ჩვენი სამინისტროსი, თითოეული პოლიციელის. მე აქვე მინდა, შევახსენო ყველას და მათ შორის პრეზიდენტსაც, რომ ეს პოლიციელები იბრძოდნენ აგვისტოს ომის დროს. ისინი მზად იყვნენ, სიცოცხლე შეეწირათ საკუთარი სამშობლოსთვის. ამ პოლიციელებს ძალიან უცენზურო სიტყვებით, საშინლად დამამცირებლად მიმართავდნენ ეს ახალგაზრდები. ეს იყო პირდაპირი პროვოკაცია, ისინი აგინებდნენ პოლიციელებსა და პოლიციას. ეს არის კიდევ ერთხელ შეურაცხყოფა ჩვენი სიამაყის, ჩვენი პოლიციის, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების. ჩვენ არ დავუშვებთ და არავის არ ვაპატიებთ უსამართლოდ პოლიციელის შეურაცხყოფას. მე ძალიან, კიდევ ერთხელ ვწუხვარ, რომ მოვისმინე პრეზიდენტის ეს განცხადება. ეს კიდევ ერთხელ იყო შეურაცხმყოფელი განცხადება ჩვენი სამინისტროსი და მთლიანად თითოეული პოლიციელის. სამწუხაროა, მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ ვიცავთ კანონს, ჩვენ ვიცავთ უსაფრთხოებას ჩვენი მოქალაქეების, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომლებიც არჩევდნენ მოქალაქეებს პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. ჩვენ ვიცავთ ყველას, განურჩევლად მათი მრწამსის, რელიგიური თუ სხვა შეხედულებებისა. შესაბამისად, ჩემთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, როგორც ახალი მთავრობის წევრისთვის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ჩემთვის მნიშვნელობა აქვს კანონს, წესრიგსა და წესიერებას. პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონი არის პრეზიდენტი, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრა „დინამოს“ სტადიონთან აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტზე.

— პოლიციელებს ძალიან უცენზურო სიტყვებით, საშინლად დამამცირებლად მიმართავდნენ ეს ახალგაზრდები. ეს იყო პირდაპირი პროვოკაცია. ისინი პოლიციელებს აგინებდნენ. ეს არის კიდევ ერთხელ შეურაცხყოფა ჩვენი სიამაყის, ჩვენი პოლიციის და ჩვენ არ დავუშვებთ და არავის ვაპატიებთ უსამართლოდ პოლიციის შეურაცხყოფას. მე ვწუხვარ, რომ პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი განცხადება მოვისმინე, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელ სამ დაკავებულ პირს, როგორც ცნობილია, ბრალად წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მისმა უწყებამ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია იმ გამოწვევებს, რომელიც პირველი თვეების განმავლობაში არსებობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებაზეც ისაუბრა.

— მიუხედავად უპრეცედენტო ამნისტიისა, უკვე 13 ათასამდე პატიმარი გამოვიდა ციხიდან, შემიძლია, სრული სიამაყით გითხრათ, რომ ჩვენ შევძელით და მე ვარ ბედნიერი, რომ ჩვენმა პოლიციამ, ჩვენმა სამართალდამცავმა ორგანოებმა და სამინისტრომ შეძლო და ღირსეულად გაუწია წინააღმდეგობა იმ გამოწვევებს, რომელიც არსებობდა პირველი თვეების განმავლობაში. მე ვიყავი ჩასული აჭარაში, ტურიზმის მოახლოებულ სეზონთან დაკავშირებით, ჩვენ გავზარდეთ უსაფრთხოების ზომები, აჭარაში დამატებითი ძალები გადავისროლეთ, ვინაიდან ტურისტების შემოდინება არის გაორმაგებული და გასამმაგებული. ეს არის ძალიან სასიხარულო ფაქტი ჩვენი ქვეყნისთვის. აქვე მოხდა 6 თვის შედეგების შეჯამება. მართლაც ძალიან სასიხარულოა და მინდა, თითოეულ პოლიციელს, ჩვენი სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს გადავუხადოთ გულწრფელი მადლობა, ვინაიდან რომ არა თითოეული მათგანის ძალისხმევა, ჩვენ ამ შედეგებს ვერ მივაღწევდით. შედეგები არის ძალიან მნიშვნელოვანი, თქვენ იცით, რომ დანაშაულმა იკლო 3300 ერთეულით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამას გარდა, გახსნის მაჩვენებელმა განიცადა გაორმაგება. გასულ წელს, თუ არ ვცდები, 26% იყო, წელს გვაქვს 50%-ზე მეტი. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი წარმატება, ეს არის თითოეული მოქალაქის და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის წარმატება. აქვე მინდა, შევეხო ერთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა უპრეცედენტოდ დიდი ოდენობით ნარკოტიკების ამოღება. ასეთი ფაქტი არ მომხდარა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ეს არის საერთაშორისო დონის რეზონანსული საქმე, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

# სოზარ სუბარი: „ხელისუფლებისთვის მთავარი ადამიანის პატივი და ღირსება უნდა იყოს!“

ნათია ხურცილავა

გუშინ ძალოვანი მინისტრების ნაწილი სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ იყო შეკრებილი. ირაკლი ღარიბაშვილმა, სოზარ სუბარმა, თეა წულუკიანმა, მთავარი პროკურორის მოადგილემ და სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამერბერგთან ერთად საქართველოს ციხეებში ერთობლივი პროგრამის განხორციელებაზე ისაუბრეს.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით იწყება ერთობლივი პროგრამის — „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ განხორციელება.

პროგრამის მიზანია თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

იუსტიციის მინისტრმა გუშინ განაცხადა, რომ სტრასბურგის სასამართლოში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოდან საჩივრები პრაქტიკულად აღარ შედის.

პროექტის განხორციელების ვადებია 2013-2015 წლები და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებასა და ჯანდაცვის გაუმჯობესებას ციხეებში, დაკავების ადგილებსა და სხვა დახურული დაწესებულებებში, მათ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. პროექტის განხორციელებაში საქართველოს მთავრობის მხრიდან შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და სამართლებრივი დახმარების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო იქნებიან ჩართულები.

იუსტიციის მინისტრმა გაიხსენა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მისი მუშაობის პერიოდი.

— თუკი რამემ გადამაწყვეტინა საქართველოში დაბრუნება, ეს ის საჩივრებია, რომელსაც ქართული ციხეებიდან წლების განმავლობაში ვიღებდი. ჩემს სამუშაო მაგიდაზე დღეში დაახლოებით 40 საჩივარი მხვდებოდა, მათ შორის მრავლად იყო შემთხვევები, როდესაც პატიმრებს არ მკურნალობდნენ. დღეს უკვე სტრასბურგის სასამართლოში საქმეები ჩვენი ქვეყნიდან პრაქტიკულად აღარ შედის. ეს იმ რეფორმების შედეგია, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განახორციელა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ასევე, ამ კუთხით აღსანიშნავია პარლამენტის მიერ ფართომასშტაბიანი ამნისტიის აქტის გამოცემა. ჩვენ უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, — განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა ბედუკაძის საქმეზე კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა. თეა წულუკიანის განცხადებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით თავის დროზე გადაწყვეტილების მიმღები რომ ყოფილიყო, მას იმუნიტეტის ასეთ ხარისხს არ მიანიჭებდა.

— მრავალჯერ აღინიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა დიდ გასაქანს არ იძლევა იმ კუთხით, თუ როგორ შეიძლება, გადაიხედოს ბედუკაძესთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომელიც მთავარმა პროკურორმა დამოუკიდებლად მიიღო. დიდი გასაქანი მთავარ პროკურატურას დღეს არ აქვს, რომ ეს საქმე გადაისინჯოს. არავინ ეჭვქვეშ არ აყენებს იმას, რომ შუამდგომლობა გარკვეულწილად დასაბუთებულად იყო ახსნილი. მე რომ ვყოფილიყავი გადაწყვეტილების მიმღები, რა თქმა უნდა, იმუნიტეტის იმ ხარისხს, რაც ბედუკაძემ მიიღო, შევამცირებდი, თუნდაც პირობით სასჯელზე მოხდებოდა შეთანხმება. მოხდა ის, რაც მოხდა. ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს მიდგომებს მომავალში. საქართველოს აქვს უმძიმესი მემკვიდრეობა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კუთხით, — განაცხადა წულუკიანმა.




მინისტრის თქმით, მომავალში პროკურატურამ სწორი მესიჯები უნდა გაუგზავნოს იმ ადამიანებს, ვინც გამოძიებასთან თანამშრომლობს.

— სწორი მესიჯები უნდა გავუგზავნოთ ადამიანებს, ვინც გამოძიებასთან თანამშრომლობს, მათ შორის ბედუკაძეს და ასევე მათ, ვისაც შეიძლება, მომავალში რაიმე დანაშაულის ჩადენის სურვილი გაუჩნდეს. დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა გააჩინოს რაღაცა ტიპის გადაწყვეტილებამ, ამიტომ პროკურატურამ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს სწორი მესიჯები უნდა გაუგზავნოს, რათა მათ გაიგონ, რომ საქართველოში ისეთი უპატიებელი დანაშაულის ხელშეწყობა, როგორიც წამებაა, არ შეიძლება, — განაცხადა წულუკიანმა.

სოზარ სუბარი, იურიდიულ დახმარებათა, პრობაციისა და სასჯელაღსრულების მინისტრი:

— ადამიანის დაცვის მაღალი სტანდარტი არის ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა. ჩვენი მთავარი მიზანია, შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც ადამიანი იქნება ცენტრალური ფიგურა. ამ მიმართულებით ჩვენს ხელისუფლებას სრულიად განსხვავებული პრიორიტეტი აქვს, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით. 9 წლის განმავლობაში ადამიანი საერთოდ იყო გამორჩენილი, ადამიანის ღირსება, ადამიანის უფლებები, ადამიანის პატივი საერთოდ დღის წესრიგის მიღმა იყო. სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ის საშინელება, რომლის მოწმენიც ყველანი ერთად გავხდით. ადამიანის წამება ნორმად იყო ქცეული, რაც გამოიწვია იმან, რომ ადამიანი, როგორც ღირებულება, გაქრა. პატიმართა რაოდენობა 24 ათას 500-დან 9 ათას 400-მდე შემცირდა, თითქმის 65 პროცენტამდე. გადატვირთულობის პრობლემა პრაქტიკულად აღარ არსებობს. ბოლო 6 თვის განმავლობაში ორი ციხე დავხურეთ. ზუგდიდის მე-4 დაწესებულება და თბილისის პირველი დაწესებულება რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარებოდა, იქ ადამიანის მოთავსება პატივისა და ღირსების შემლახავი იყო. აღმოჩნდა, რომ ბათუმის დაწესებულება რემონტს ექვემდებარება, დროებით დახურულია და სრული განახლება მიმდინარეობს. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის კადრების პრობლემა, რადგან არაკვალიფიციური კადრები იყო მიზეზი იმ ყველაფრის, რაც ამ სისტემაში ხდებოდა. ამ მხრივაც ძირეული რეფორმა მიმდინარეობს. რამდენიმე ასეული ადამიანი, ვინც წამებაში მონაწილეობდა, დაკავებულია. უამრავი ადამიანის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება. 60-ზე მეტი ადამიანი ჩვენი სისტემიდან გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე გათავისუფლებულია. ღირსეულები სისტემაში დარჩებიან. არჩევნების შემდეგ ქართულ ციხეში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. გარდა იმისა, რომ პატიმართა რაოდენობა 60 პროცენტით შემცირდა ამნისტიის კანონით, ამავდროულად, პირობებიც საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდა. რამდენიმე ციხე დაიხურა. რეფორმა გრძელდება. ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი პატიმრებისთვის. ძალიან მალე გვექნება ერთ-ერთი საუკეთესო სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი საავადმყოფო. ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულება ძალიან მაღალ, ევროპულ სტანდარტს აკმაყოფილებს. ძალიან მალე გაიხსნება ფსიქიატრიული დაწესებულება. რევოლუციური ნაბიჯი გადავდგით ცე ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით.

სოზარ სუბარმა ასევე ისაუბრა დანაშაულის მაჩვენებლებზე ამნისტიასთან მიმართებით.

— დანაშაული ხდებოდა ყოველთვის. რატომღაც ასეთი ტენდენცია შეინიშნება ბოლო პერიოდში, რომ თუკი რაიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ხდება, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, მაშინვე ხდება აპელირება, თითქოს ეს ამნისტირებულმა პატიმრებმა ჩაიდინეს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე არ არის. ზოგადად, პრეზიდენტის მიერ წელს შეწყალებული პატიმრების დაახლოებით 4 პროცენტი უკან დაბრუნდა, მაშინ როცა ამნისტიითა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. კერძოდ, ამნისტიის შედეგად გათავისუფლებულების 2 პროცენტზე ნაკლები, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლებულების 1,5 პროცენტი საპატიმროში დაბრუნდა, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან კომენტარი ბედუკაძის საქმეზე გააკეთა:

— სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების დადების დროს მოსამართლის მხრიდან, რომ საპროცესო შეთანხმება არ დაამტკიცოს, თუ კანონს ეწინააღმდეგება. ამიტომ პასუხისმგებლობის მოხსნა სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ კანონი დაირღვა საპროცესო შეთანხმების დროს, მაშინ მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გამოიკვეთოს. რაც შეეხება ამ საპროცესო შეთანხმების გადახედვის სამართლებრივ საფუძვლებს, ეს კონკრეტულად გაწერილია და ითვალისწინებს თავად იმ პირის მიერ გასაჩივრებას, ვისაც ეს შეეხო. ალბათ, მთავარმა პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა სამართლებრივ გზას ირჩევს ის, თუკი იცვლება პოზიცია. პოლიტიკურად, შეიძლება, ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა, მე საქმის დეტალები არ ვიცი, მაგრამ ზოგადად წამების მიმართ ძალიან პრინციპულები უნდა ვიყოთ ეს ცალსახაა და პრემიერის განცხადება ძალიან კარგად მესმის.

# გელა ნიკოლაიშვილი: „კბილაშვილის ადგილისთვის ბრძოლა მიმდინარეობს“

ნონა ცაბაძე

## პრემიერი ხისტ განცხადებებს უნდა მოერიდოს

დღეს მთელი ერი მოუთმენლად ელოდა მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის პრესკონფერენციას. ბევრი ფიქრობდა, რომ კბილაშვილი გადადგებოდა, ან იმას მაინც იტყოდა, საქმეს გადავხედავო. თუმცა, მეოცნებეებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორი და სამართლიანი იყო და მთავარ პროკურორს აქვს ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებაო. მკითხველს შევახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, კბილაშვილს ბედუკაძის საქმის გადასინჯვისკენ მიუთითა. თურმე ბედუკაძე ყველაზე დიდი დამნაშავე ყოფილა, ვინც დაუსჯელი თავისუფლად დაიარება.

პრემიერის განცხადებას სხვადასხვაგვარი შეფასებები მოჰყვა. ბევრი ფიქრობს, რომ პრემიერი შეცდომაში იქნა შეყვანილი და მან, როგორც სჩვევია ხოლმე, ეს განცხადებაც ცხელ გულზე დაუფიქრებლად გააკეთა.

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნულ საქმეზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ მთავარმა პროკურორმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ადვოკატი მიიჩნევს, რომ „ქართულ ოცნებაში“ კულუარული დაპირისპირებაა და ვიღაც პროკურორის სავარძლისთვის იბრძვის. ადვოკატი იმასაც აღნიშნავს, რომ პირველად ეს კამპანია პარლამენტის დეპუტატმა თინა ხიდაშელმა წამოიწყო.

***— ბატონო გელა, ბოლო დღეებში ვხედავთ, რა ამბავია ატეხილი ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით. პრემიერიც კი ჩაერია ამ საქმეში და პროკურორს საქმის გადახედვისკენ მოუწოდა. კბილაშვილმაც არ დააყოვნა და პრემიერს პრესკონფერენციით უპასუხა და განაცხადა, რომ მან სწორი და კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. თქვენი აზრით, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? პრემიერი უხეშად ერევა პროკურორის საქმიანობაში?***

— დავიწყოთ იმით, რომ მეც ვფიქრობ, რომ ნამდვილად კანონის სრული დაცვით და სამართლიანობის სრული დაცვით მოხდა ბედუკაძესთან ამ შეთანხმების გაფორმება. 218-ე მუხლში არის ძალიან კონკრეტულად, დეტალურად არის გაწერილი, რა შემთხვევაში შეიძლება ასეთი შეთანხმება დაიდოს მთავარ პროკურორსა და ბრალდებულს შორის. სწორედ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო, ვინაიდან მან გახსნა უდიდესი დანაშაული, ამხილა, ფარდა ახადა და მტკიცებულებები წარმოადგინა. ამაზე დიდი, მასობრივი და სისტემური დანაშაული, მე ჩემს პრაქტიკაში არც მახსოვს, რომ ვინმეს ერთჯერად გაეხსნა და ფაქტიურად ქვეყნის ბედი გადაეწყვიტა. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, იმას, რომ ბედუკაძე ან გმირია, ან ანგელოზია. მე სპეციალურად ვეკითხებოდი ყველა პატიმარს, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, რაც ეს კადრები გამოქვეყნდა, რომელ პატიმართანაც მქონდა თუ არ მქონდა შეხება, ყველას ვეკითხებოდი ბედუკაძესთან დაკავშირებით და აბსოლუტურად უმრავლესობამ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ 99% დადებითად საუბრობს მასზე და მათგან კიდევ უმრავლესობა ამბობს, რომ მისი გადარჩენილია და რომ არა ბედუკაძე, ის ან ცოცხალი არ იქნებოდა და ან ინვალიდი გახდებოდა. რაც მთავარია, მან იხსნა არა მხოლოდ ეს ადამიანები, არამედ მომავალში ის ადამიანებიც სიკვდილისგან და დაინვალიდებისგან, რომლებსაც შემდეგ დააპატიმრებდნენ.

***— მისი საწინააღმდეგო არავის უთქვამს?***

— რა თქმა უნდა, ერთი-ორი ისეთი პატიმარიც შემხვედრია, რომელსაც უთქვამს, რომ პირადად ბედუკაძეს ვუცემივარო, მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად დიდია საქმეზე, რომელიც მან გააკეთა, რომ ერთი კონკრეტული პირის პატიმრობის და პასუხისმგებლობის საკითხს ის აშკარად წონის და აბსოლუტურად სწორად მოიქცა მთავარი პროკურორი, როდესაც ეს შეთანხმება გააფორმა. მით უმეტეს, რომ დღეს ბედუკაძე ამ შეთანხმების და ამ კანონის მიხედვით ითვლება ნასამართლევად. უბრალოდ იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის თანამშრომლობას პროკურატურასთან, რომ მათ ჩათვალეს საჭიროდ და სავსებით სწორად, აი, ასე მოქცეულიყვნენ. თუ იმაზეა ლაპარაკი, თინა ხიდაშელი იქნება თუ ნაციონალები, რომლებიც ასე აკაკანდნენ და მათი მთავარი მტრის ციხეში ჩასმა უნდათ ყველანაირი მეთოდებით, მათი დამბეზღებლის, დამმარცხებლის მთავარი ხელშემწყობის, ეს ბუნებრივია მათი მხრიდან. თუ ობიექტურად და არადაინტერესებული პოზიციიდან, წმინდა პრაგმატული გაგებით ილაპარაკებს ადამიანი, რომ რატომ მაინცდამაინც სასჯელი არ შეუფარდეს, სასჯელად ითვლება, მაგალითად, ექვსთვიანი პირობითი სასჯელიც. შეიძლებოდა, მაგალითად, ექვსთვიანი პირობითი სასჯელი შეეფარდებინათ და ესეც სასჯელი იქნებოდა, ფორმალურად ყველაფერი გამართულად იქნებოდა და ვერავინ იტყოდა, სასჯელის გარეშე რატომ დატოვესო, მაგრამ რას შეცვლიდა ეს? მთავარი არის ის, რაც მე ვთქვი ზემოთ.

***— ბატონო გელა რატომ გახდა მაინცდამაინც ახლა ასეთი აქტუალური ბედუკაძის დასჯა–არ დასჯის საკითხი? ან პრემიერი რატომ ჩაერია ამ საქმეში?***

— მე ვფიქრობ, რომ მიმდინარეობს ბრძოლა სწორედ მთავარი პროკურორის ადგილისთვის. როგორც ჩანს, არიან დაჯგუფებები, რომლებსაც არ აწყობთ ასეთი პრინციპული და ობიექტური მთავარი პროკურორი და ისეთი სამართლიანი, როგორიც არის არჩილ კბილაშვილი და აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის გარემოცვა ყველანაირად ცდილობს, რომ ისიც დაარწმუნოს, რომ კბილაშვილი სუსტია, კბილაშვილი უუნაროა, შეცდომები მოსდის და აქედან მის გათავისუფლებამდე უკვე ერთი ნაბიჯია.

***— თქვენ ხიდაშელის გვარი ახსენეთ და ის ებრძვის?***

— მე არ ვიცი, კონკრეტულად თინა ხიდაშელი შედის თუ არა ამ დაჯგუფებაში. მე თინა ხიდაშელი იმიტომ ვახსენე, რომ პირველი მან გაილაშქრა ბედუკაძის გათავისუფლების წინააღმდეგ. ვერ გეტყვით, შეიძლება ეს მისი აზრია და არავითარი დაჯგუფება და კონკრეტულად კბილაშვილის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და არც მისთვის მისაღები პიროვნებისთვის მისი ადგილის დაკავების სურვილი არა აქვს. შესაძლოა, უბრალოდ, საკუთარ აზრს გამოთქვამს, მაგრამ ყველაზე მკაფიოდ „ქართული ოცნებიდან“ მან დააფიქსირა ეს პოზიცია და ამიტომ ეს იწვევს ეჭვებს.



***— სხვათა შორის, კულუარულად საუბრობენ, რომ დაპირისპირებაა მათ შორის, რომ „ქართული ოცნებიდან“ კბილაშვილს ბევრი უპირისპირდება...***

— არ არის ეს გამორიცხული და უფრო მეტსაც გეტყვით, ეს ბუნებრივია, როდესაც ახლა ამდენი პარტიის ინტერესი ერთმანეთს ეჯახება, რა თქმა უნდა, ესეც არ არის გამორიცხული. გავიმეორებ, რომ ამ შემთხვევაში კბილაშვილი იყო მართალი და არ იყო მართალი პრემიერ-მინისტრი, როდესაც ასეთი იმპულსური განცხადება გააკეთა. მას ახასიათებს ხოლმე ასეთი განცხადებები, მე მაინც ვთვლი, რომ ეს თავისი გულწრფელობით მოსდის და არანაირი ქვენაგრძნობები აქ არ არის, მაგრამ მაინც მე ვფიქრობ, რომ ასეთ ხისტ განცხადებებს ის უნდა მოერიდოს თავისი თანაგუნდელების მიმართ. ან თუ აკეთებს ასეთ განცხადებას, მას უკვე მეორე ნაბიჯი უნდა მოჰყვეს და ეს თანამებრძოლი და თანაგუნდელი უნდა გაათავისუფლოს. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ერთი მცდარი ნაბიჯი გადადგა და კიდევ კარგი, მეორე მცდარი ნაბიჯი არ მოაყოლა, მის გათავისუფლებას რაც შეეხება. ისე, ლოგიკა მაგას მოითხოვდა. მე იმედი მაქვს, რომ დროზე შეჩერდება პრემიერი და დროზე გაიგებს, რომ ეს არასწორი შენიშვნა იყო, მით უმეტეს, ახლა სამართლებრივად გამორიცხულია, რომ ეს უკან შემოაბრუნონ. მე ვფიქრობ, რომ პრემიერი შეცდომაში იქნა შეყვანილი.

***— ბატონო გელა, რაც შეეხება მეორე საქმეს, ალბათ თქვენთვისაც ცნობილია, რომ ბოლო დღეებია საკმაოდ აქტუალური გახდა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმე, კეთდება სკანდალური განცხადებები, თუმცა ახალი არაფერია, ის რაც ჯერ არ თქმულა და საზოგადოებას არ უმსჯელია. საქმე გამოძიებულიაო, თუმცა პროკურატურა არ ჩქარობს ამ საქმეზე საუბარს. როგორ ფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის შესაძლებელი სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?***

— მე ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ უამრავი საქმეა, რომლის გამოც შეიძლება სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, მათ შორის ერთ-ერთი ჟვანიას საქმეა. თუმცა, კონკრეტულად ჟვანიას საქმეზე, სანამ ოფიციალური განცხადება არ გაკეთდება, დეტალური საუბრისაგან თავს შევიკავებდი. თქვენც ახსენეთ, რომ რაიმე ახალი არაფერია, ჯერჯერობით მხოლოდ მოარული ხმები და ჭორებია და ამიტომ ამის იქით წასვლა, ვარაუდებზე დაყრდნობა და დასკვნების ისე გამოტანა, მე არ მიმაჩნია სწორად. როდესაც გაკეთდება ოფიციალური განცხადება პროკურატურის მხრიდან, მაშინ შეიძლება ვიმსჯელოთ, რა არის სწორი და რა არა, ჩვენი აზრით.

***— ბატონო გელა, რაც შეეხება ნაციონალების წივწივს, დამნაშავეების დასჯასთან დაკავშირებით, რამდენად აქვთ მათ იმის მორალური უფლება, რომ ასეთი განცხადებები აკეთონ და საპროტესტო აქციები მართონ? რასაკვირველია, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, მათ არავინ ამართლებს, მაგრამ გააჩნია ამას ვინ მოითხოვს?***

— ეს არის ჭაობში აღმოჩენილი ნაციონალების ფართხალი, რომ სუფთები ვართ, სუფთებიო, მაგრამ ჭაობში რომ ადამიანია და იქიდან აყროლებული სუნი ამოდის, ის სუფთა ვერასოდეს ვერ იქნება. ეს გარემო, ჭაობის გარემო მათ შექმნეს და აქედან გამომდინარე, ვიღაცა მეტად გაისვარა ამ ჭაობში, ვიღაცა ნაკლებად, ვიღაცამ უფრო ღრმად ჩაყვინთა და ვიღაცა ცოტა ზედაპირზე დარჩა, ეს ვერანაირად ვერ გათეთრებს მათ, ვერ გამოაჩენს უცოდველებად, როგორც ეს მათ უნდათ. თუ რომელიმეს გადარჩენა უნდა, არიან, რა თქმა უნდა, მათ შორის შედარებით ნაკლებად გასვრილი ადამიანები და თუ მათ უნდათ, რომ პოლიტიკური მომავალი ჰქონდეთ და გადარჩნენ, როგორც პოლიტიკოსები, ისინი უნდა გაემიჯნონ ამ კრიმინალურ, მაფიოზურ, დანაშაულებრივ პარტიას, რომელსაც თავის მართვის არსენალში ჰქონდა სწორედ ეს მეთოდები. შეუძლებელია, რომ ეს არ სცოდნოდათ, განსაკუთრებით ამ ზედა ეშელონებში მყოფ ადამიანებს. დღეს სწორედ ეს ზედა ეშელონებში მყოფი ადამიანები ქაქანებენ ყველაზე მეტს და ცდილობენ სუფთები გამოჩნდნენ. ეს არანაირად არ გამოუვათ, უბრალოდ, ეს იწვევს კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას ხალხში. რამდენიმე თვეში ისინი დარწმუნდებიან, რომ საბოლოოდ იმ ჭაობში ჩაიხრჩობიან, სადაც ახლა არიან და როგორც შარშანდელი თოვლი, ისე აორთქლდებიან. ზოგიერთების გადარჩენის ერთადერთი საშუალება არის სწორედ ის, რომ გაემიჯნონ ნაციონალურ მოძრაობას და თქვან, რომ ეს კრიმინალური ბანდა ყოფილა და არა პოლიტიკური პარტია. თუ ამას არ ამბობენ ისინი და უკვე, რაც დრო გადის, თანდათან უფრო გაუჭირდებათ ამის თქმა, მით უფრო მეტად შორდებიან რეალობას და უფრო სწრაფი ტემპებით მიდიან ისტორიის სანაგვეზე. ეს მათი არჩევანია და ჩვენ რა ვქნათ ახლა, მაგაზე ნამდვილად არ ვიდარდებთ!

***— ბატონო გელა, რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისიც სკანდალშია გახვეული, მე მიქაუტაძის ფაქტი მაქვს მხედველობაში. რა ხდება თქვენი აზრით, იქ დარჩენილია ძველი კადრები, რომლებიც ძველი მეთოდებით აგრძელებენ მუშაობას თუ რასთან გვაქვს საქმე?***

— კი, ერთი მიზეზი ეგ არის. რა თქმა უნდა, ძველი კადრები ძველი მეთოდებით მუშაობენ და ეს ცხადია. კანონმდებლობაც არ იცვლება, ძველი კანონმდებლობაა, იმიტომ, რომ ძველი კადრები ახალი კანონმდებლობით ვერ იმუშავებენ. მე ვგულისხმობ იმას, რომ წინასწარი გამოძიების დროს, დაკითხვა, როგორც ასეთი, არ უნდა იყოს ახალი კანონმდებლობით, რომელიც ვერა და ვერ შეიყვანეს ძალაში და მოწმის დაკითხვა უნდა მოხდეს სასამართლოში. უბრალოდ, წინასწარ უნდა მოხდეს გამოკითხვა და გამოკითხვასა და დაკითხვას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ეს არ ზღუდავს გამოკითხულ პირს, რომ სხვა ჩვენება მისცეს სასამართლოზე. დღევანდელი კანონით კი, თუ ის შეცვლის წინასწარ ჩვენებას სასამართლოზე, ის პასუხისგებაში მიეცემა. აი, ეს არის განსხვავება და სანამ ეს უდიდესი ნაწილი არ გადახალისდება, მე ყველაზე არ ვსაუბრობ, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ სიახლეს მოერგებიან, მაგრამ დიდი ნაწილი, რომლებიც არ არიან შეჩვეულები სამართლებრივი, დემოკრატიული მეთოდებით მუშაობას, სანამ არ შეიცვლებიან, ასეთი ცალკეული შემთხვევები იქნება. რა თქმა უნდა, ეს აშკარად თვითმკვლელობამდე მიყვანაა, აშკარად იძულებაა, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ეს არც პირველია და ალბათ არც უკანასკნელი, როცა ასეთი მეთოდებით ხდება დაკითხვები.

***— ზოგიერთმა ეს შემთხვევა ღარიბაშვილის წინააღმდეგ გამოიყენა და ისიც აღმოჩნდა დარტყმის ობიექტი...***

— ანომალიაა, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობა ითვლება მთავარ ოპოზიციად და, რა თქმა უნდა, ისინი ყველა ასეთ შემთხვევას გამოიყენებენ, რომ ნებისმიერ მინისტრს, არამხოლოდ ღარიბაშვილს, დაარტყან და ამით დაარტყან მთლიანად „ქართულ ოცნებას“. თუმცა, რომ აკეთებ შედარებას იმისას, რა საშინელებებს ჩადიოდა მათი ხელისუფლება, უბრალოდ, ძალაუნებურად განეწყობი ღარიბაშვილის დასაცავად, როდესაც ასეთი ადამიანები გამოდიან და აკრიტიკებენ. რაც შეეხება შემთხვევას, ეს არის ტრაგიკული და ასევე პასუხი უნდა აგონ იმათ, ვინც თვითმკვლელობამდე მიიყვანა ეს ადამიანი.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# დავით უსუფაშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობა კბილაშვილს გადაწყვეტილებას უწუნებს“

გილსამყოფელის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერს, საშემოდგომო სესიის განმავლობაში ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება მიღებული იქნება, — ამბობს სპიკერი.

მან გუშინ ესტონეთის პრეზიდენტის თომას ოლვესის განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი. ოლვესი „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოში ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავებებს ეხმაურება და აცხადებს, რომ „საქართველოს ახალ მთავრობას სულელები ვგონივართ, მაგრამ სულელები არ ვართ“.

— ტიმოშენკოს საქმე უკრაინაში არსებული სისტემის სიმბოლო გახდა. ეს უკრაინისთვის დიდი პოლიტიკური პრობლემაა. ევროკავშირში ბევრი ფიქრობს, რომ ტიმოშენკოს ბედი ესაა ლაკმუსის ქაღალდი უკრაინის დემოკრატიულ სტანდარტებთან შესატყვისობისა. ასეთი პრობლემა არ დგას მხოლოდ უკრაინაში. მე ვიცი, რომ ბევრი ევროპული ქვეყანა თვალყურს ადევნებს იმას, რა ხდება დღეს საქართველოში და აქვს თუ არა ახალი ხელისუფლების მხრიდან ადგილი ოპონენტებზე შურისძიებას? ისინი ამბობენ, რომ საქმე წმინდა სამართლებრივ პროცესთან გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა ცუდად გამოიყურება. თავის დროზე ხადარკოვსკის საქმემ საბოლოოდ გაწყვიტა იმედი რუსეთში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით. აქამდე მიიყვანა ტიმოშენკოს საქმემ უკრაინა. ახლა საქართველოს ახალი ხელისუფლება აპატიმრებს ოპოზიციონერ საპრეზიდენტო კანდიდატს, ხოლო ჩვენ გვეუბნებიან, რომ ის არანაირი კანდიდატიც არ არის, რადგან დარეგისტრირება ვერ მოასწრო. როგორც ჩანს, ისინი სულელებად გვთვლიან, მაგრამ ჩვენ არ ვართ სულელები, — განაცხადა ოლვესმა.

მის ამ განცხადებას ერში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. დავით უსუფაშვილმა მას კოლორიტული ფიგურა უწოდა.

— პირველ რიგში, ვადასტურებ, რომ ესტონეთის პრეზიდენტი ნამდვილად არ არის სულელი და საკმაოდ გამოცდილი, ჭკვიანი, კოლორიტული ფიგურაა ევროპის ქვეყნების პრეზიდენტებს შორის, რომელიც გამოირჩევა ასეთი მკვეთრი და ფრთიანი გამონათქვამებით. ბოლო თვეების განმავლობაში ის ხალხი, რომელიც საქართველოსთან ინტენსიურად ურთიერთობდა და, შესაბამისად, საქართველოს წინა ხელისუფლებასთან, დღევანდელ პრეზიდენტთან ინტენსიურ ურთიერთობაში იყო, არის შოკირებული იმ საკითხებით და თემებით, რომელიც მათთვის ცნობილი ხდება წინა ხელისუფლების თაობაზე. შესაბამისად, მე ვხედავ ასეთ განწყობას ევროპელ და ამერიკელ წამყვან პოლიტიკოსებში, რომ თურმე, რამდენს გვატყუებდა მიხეილ სააკაშვილი. ამ განცდიდან და განწყობიდან მომდინარეობს მეორე განწყობა — რამეს ახლაც ხომ არ გვატყუებენ ქართველები ასე ფუნდამენტურად, — განაცხადა უსუფაშვილმა.

2013, 10 ივლისი, №161

# თბილისის მერიამ მშენებლობები განზრახ შეაჩერა?

მერი ნამორაძე

**მოქალაქეთა უკმაყოფილების გამოწვევა ერთობ ადვილია, თუ სამუშაო ადგილს წაართმევ და განუმარტავ, რომ ამაში დამნაშავე ახალი ხელისუფლებაა, რომელმაც დანაპირები კი ვერ შეასრულა, პირიქით, ის სამუშაო ადგილიც გაგიუქმა, რითაც არსებობდი. როგორც ჩანს, ქალაქ თბილისის მერიას ეს ძალიან კარგად გამოსდის. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელების" თავმჯდომარე გურკო ზუმბაძე ირწმუნება, რომ ქალაქში 300 ობიექტზე მშენებლობები სწორედ მერიის მიზეზით არის შეჩერებული.**

გუშინ ზუმბაძემ ბრიფინგზე საკრებულოში მიმდინარე პროცესებზე გაამახვილა ყურადღება, სადაც ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე დაკარგა უმრავლესობა. ამჯერად საკრებულოში 47 დეპუტატია, ნაციონალურ მოძრაობას 22 დეპუტატი ჰყავს, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას ის ვეღარ მიიღებს, საამისოდ საჭიროა 24 დეპუტატი. 25 დეპუტატი რჩება „არანაციონალთა" რიგებში, მათ შორის, დამოუკიდებელი დეპუტატების, მამუკა კაციტაძისა და კახა კუკავას სახით, რომლებიც არაკოალიციურ პარტიებს წარმოადგენენ და ისინი, რომლებმაც ეს-ეს არის დატოვეს ნაციონალური მოძრაობა და არც ერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი:

– ვითარება ასეთია: დღეს რომ ჩატარდეს საკრებულოს სხდომა, შესაძლოა, გადაწყვეტილებაც კი ვერ იქნეს მიღებული, რამეთუ ჯერ არ გვაქვს მყარი უმრავლესობა ჩამოყალიბებული. პროცესი დაწყებულია ამ უმრავლესობის შესაქმნელად, მაგრამ არ ვართ ერთმანეთში გარკვეულები, ვის რა პოზიცია ექნება, არიან თუ არა მზად ეს ადამიანები, რომლებიც ჩამოვთვალე, მყარი უმრავლესობის ფორმირებაში მიიღონ მონაწილეობა. არც ისე მარტივი სიტუაციაა. თუკი ნაციონალურ მოძრაობას კიდევ რამდენიმე წევრი გამოაკლდება და ისინი ცალსახად განაცხადებენ, რომ უერთდებიან სახელისუფლებო ფრაქციებს, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ მყარი უმრავლესობის შექმნაზე და დადგება საკადრო საკითხები დღის წესრიგში – თავმჯდომარის, მოადგილეებისა და კომისიის თავმჯდომარეების, – აღნიშნა ზუმბაძემ, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს პროცესები საკრებულოში შენელებულია. საზოგადოება კი ახალი უმრავლესობის შექმნას ელოდება, რომელმაც თბილისელთათვის ბევრი საჭირბოროტო საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

საკრებულოს ფრაქციებში უკვე მიდის სჯაბაასი ახალი თავმჯდომარის კანდიდატურის შესახებ. ერთ-ერთ კანდიდატად თავად ზუმბაძეც მოიაზრება გიორგი ტყემალაძესთან, ჯაბა სამუშიასთან, გიორგი მუსხელიშვილთან და ყოფილი ნაციონალ ირაკლი შიხიაშვილთან ერთად. შიდა კონკურენცია მეოცნებეებს შორის დიდი იქნება. ზუმბაძის აზრით, საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა თბილისელთათვის მისაღები უნდა იყოს. მას უნდა გააჩნდეს გუნდურად მუშაობის პრინციპი, სხვადასხვა პარტიული ინტერესების მქონე ადამიანებთან საკითხის შეჯერების უნარი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა თუ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უნარი:




– რაც მთავარია, შემტევითი ხასიათი უნდა ჰქონდეთ ახალ კადრებს, იმიტომ, რომ იცით, უგულავა 4 წლით არის არჩეული, 2014 წლის მაისამდე. ადგილობრივი ხელისუფლება, მერია, გამგებლები, ისევ ნაციონალური მოძრაობის კადრები არიან. იმის გათვალისწინებით, რომ მერია უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში დაკომპლექტებული იქნება ნაციონალური მოძრაობის პარტიის კადრებით, მარტივი არ იქნება ახალი უმრავლესობის მათთან თანამშრომლობა. ჩვენ უნდა შეგვეძლოს მნიშვნელოვან თემატური საკითხების შეჯერება ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან. სხვა გზა არ გაგვაჩნია. როდესაც საკითხი ისმება ასე, რომ ისინი წარმოადგენენ დანაშაულებრივ ჯგუფს და რა თანამშრომლობაზეა საუბარი, ჩვენ ვთვლით ასე, რომ თუკი ადამიანი ეჭვმიტანილია კონკრეტულ დანაშაულში, დროზე უნდა იყოს გამოძიებული, დროზე უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება და დროზე აგოს პასუხი. ვიდრე ეს ადამიანები იკავებენ თანამდებობებს, სხვადასხვა სამსახურებს ხელმძღვანელობენ, მანამდე ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, უნდა ვითანამშრომლოთ მათთან, – განაცხადა ზუმბაძემ.

როგორც ზუმბაძემ აღნიშნა, პრობლემები ადვილად მოგვარებადი არ იქნება. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კი 300 მშენებარე ობიექტი მოიყვანა, რომელიც გაჩერებულია მერიის მიზეზით. ამ ფაქტს უგულავა „მეოცნებეების" იმიჯის შესალახავად ხშირად იყენებდა. ზუმბაძე ირწმუნება, რომ 300-მდე მშენებარე ობიექტი სწორედ მერიის სამსახურების მომიზეზებით არის შეჩერებული:

– მშენებელ კომპანიებს ნებართვის მისაღებად შესაბამისი კოეფიციენტი ენიჭებათ. კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გრაფიკი დგება მათთვის. ხშირ შემთხვევაში, ამ გრაფიკის მიხედვით გადახდას ვერ ახერხებენ. ერთ კომპანიას, მაგალითად, 112 ათასი ლარი აქვს გადასახდელი, რადგან გაეზარდა კოეფიციენტი. კანონის თანახმად, ერთი თვით ადრე მიმართა კომპანიამ მერიის სამსახურს, გაეგრძელებინა თანხის დაფარვის ვადა. ეს პროცესი კი გაიწელა. კანონი ითვალისწინებს, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში მშენებელ კომპანიას ან უნდა შეუჩერდეს ნებართვა ან უნდა გაუგრძელდეს. გაგრძელების ნებართვა კი ამ სამასამდე კომპანიიდან არც ერთს არ აუღია. გუშინ ვესაუბრე ერთ-ერთი სამსახურის წარმომადგენელს და პასუხი ასეთი იყო, რომ თურმე კანონში ბუნდოვნად არის ჩანაწერი, რა შემთხვევაში შეიძლება გაუგრძელდეს ნებართვა და რა შემთხვევაში შეუჩერდეს. თუკი აქამდე ასეთი დილემის წინაშე არ დამდგარან ეს სამსახური და მერია, რატომ მოხდა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სწორედ მათი მიზეზით, ამ კანონის მომიზეზებით არის სამასი ობიექტი გაჩერებული. ეს რას ნიშნავს? რომ 40-50 ათასი სამუშაო ადგილი გაცდენილია, ანუ 40-50 ათასი ადამიანი ვერ დასაქმდა. შესაბამისად ის დარგებიც შეზღუდულია თავის საქმიანობაში, რომლებიც მშენებლობასთან არის მიბმული. მერიას მოვუწოდებ, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოაყალიბოს შესაბამისი განკარგულების პროექტი, თუკი საკრებულოს მისაღებია, მთავრობის სხდომაზეა გასატანი ან ორგანულ კანონში ცვლილებებია საჭირო, პარლამენტი ამისათვის მზად არის. ახალი ხელისუფლების ინტერესში არ შედის მშენებლობების გაჩერება. მერიამ უნდა წარმოადგინოს გეგმა-პროექტი, როგორ შეიძლება ამ მშენებლობების გაგრძელება. ადამიანები ელოდებიან შენობების დასრულებას, დასაქმებას. შესაძლებელია, აქაც საბოტაჟს ჰქონდეს საქმე, – ივარაუდა ზუმბაძემ და მაგალითად კომპანია „ქარელი 25" მოიყვანა, რომელმაც ზუსტად ვადაში მიაწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურს. კომპანია იყალთოზე აშენებს სახლს, სადაც ბარაკული ტიპის სახლები იყო, დაიშალა, ამხანაგობა შეიქმნა, ქირით გავიდნენ ოჯახები, რასაც ეს კომპანია იხდის. მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია, საძირკველი ჩასხმულია და, როცა საჭირო გახდა კოეფიციენტის გაზრდა და შესაბამისი მოსაკრებელი დადგინდა, გაიწერა გეგმა-გრაფიკი, აბსოლუტურად ყველა ვადის დაცვით ითხოვეს ვადის გაგრძელება, მაგრამ არ მოხდა შესაბამისი სწრაფი რეაგირება.

მეორე პრობლემური საკითხი კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხია. პრობლემა დაახლოებით 4500 ოჯახს ეხებოდა, 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 500 ოჯახია დაკმაყოფილებული, 4000 ოჯახი კი კვლავ მოლოდინის რეჟიმშია. ზუმბაძის თქმით, ფინანსთა სამინისტროში შექმნილი იყო შესაბამისი კომისია, რომელსაც უნდა დაეთვალა კომპენსაციის ოდენობა თუ ფართებით უზრუნველყოფის საკითხი, თუმცა, ნაბიჯი არ გადადგმულა პრობლემის მოსაგვარებლად.

– 2010 წელს თბილისის მერის მოთხოვნით, რაც არჩევნებისთვის დასჭირდა უგულავას, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გადასცა რამდენიმე ობიექტი თბილისის მერიას ამ ადამიანთა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ არავინ დაკმაყოფილებულა. ძალიან მცირე რაოდენობამ მიწის ნაკვეთები მიიღო. ეს იყო და ეს. ყოველი არჩევნების წინ ხსენებული თემა კარგი სპეკულაციების საკითხია. ამ ადამიანთაგან ზოგი გარდაიცვალა, მემკვიდრეები ისევ ბინას ელოდებიან, ქირით ცხოვრობენ. ამ ადამიანებს სისტემატიურად აქვთ ჩვენთან კავშირი და თანადგომასა და დახმარებას ითხოვენ. ჩვენი მიზანია, პრობლემა მოგვარდეს და არ გადავადდეს ათეული წლებით. გარდა ამისა, უამრავი შენობაა დაუმთავრებელი, რომლის დასრულება მერიის პრეროგატივა გახლდათ. ასეთია მარჯანიშვილის ქუჩა №16, კორპუსი 2. სამოცდაათი ოჯახი 20 წელია ელოდება, როდის გამოყოფს მერია თანხას ამ ბინის დასამთავრებლად. დღემდე, 9 წლის განმავლობაში, არ არსებობს პრობლემა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ, ადგილობრივმა და ცენტრალურმა მოაგვარა და დამთავრდა. მუდმივად იყო პრობლემის გადავადება, ერთჯერადი აქციებით ხდებოდა ამ ადამიანების გაჩუმება და იმედის მიცემა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისთვის, რომ მათ მხარი არჩევნებში ნაციონალური მოძრაობისთვის დაეჭირათ, – განაცხადა ზუმბაძემ.

მესამე გადაუდებელი პრობლემა თბილისელთათვის საბავშვო ბაღებია, სადაც ახალი სასწავლო წლიდან მშობლებისთვის გადასახადი უნდა გაუქმდეს, რაც თავისთავად გაზრდის მოთხოვნას საბავშვო ბაღებზე. დღეის მდგომარეობით, თავისუფალი ადგილები ბაღებში აღარ არის და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კიდევ ერთი დანაპირების შესრულება – ბაგა-ბაღებში ფინანსური ხელმისაწვდომობა კი იზრდება, მაგრამ ფიზიკური – არა. ზუმბაძის თქმით, დღეისათვის ქალაქში 156 საბავშვო ბაღი მოქმედებს, სადაც 70 ათასი აღსაზრდელია. თითო ჯგუფში 35-40 ბავშვია, ნაცვლად 25-სა. დაახლოებით 20-30 ათასი ბავშვის მოთავსება კი ბაღებში შეუძლებელია ბაღების სიმცირის გამო. შენობების ნაწილში დევნილები შეასახლეს, ნაწილი ამორტიზებული ან გასხვისებულია.

ზუმბაძემ კარგად იცის, რომ როცა პარლამენტი მესამე მოსმენით მიიღებს გადაწყვეტილებას და მშობლები გათავისუფლდებიან გადასახადებისგან, კიდევ მეტად მოზღვავდებიან ბავშვები და ამისათვის ქალაქი მზად არ არის. მერიაში მოქმედებს ბაღების მართვის სააგენტო და, მათი ინფორმაციით, მხოლოდ ერთი ბაღის აღდგენა მოხერხდება ამ ზაფხულს, უფრო სწორად, მათ განკარგულებაში გადავა. ეს არის აეროპორტის საბავშვო ბაღი, რომელსაც თურქული კომპანია შეფობდა და ისედაც მოქმედებდა. ამდენად, სექტემბრისთვის ვითარება იქნება ძალიან მძიმე. ზუმბაძის თქმით, ბაღების გამგეთა ნაწილი განზრახ ავრცელებს ინფორმაციას, რომ გადასახადის გაუქმების შემდეგ სერვისი გაუარესდება:

– მინდა, მშობლებს ვუთხრა, რომ თუკი გათავისუფლდება იგი გადასახადისგან, ეს ნიშნავს, რომ გადაიხდის ადგილობრივი ბიუჯეტი, ამდენად, კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდება ჩვენი მხრიდან, რათა სერვისი კი არ გაუარესდეს, არამედ უკეთესი გახდეს. სერიოზული პრობლემა შეიქმნება ბაგა-ბაღების რაოდენობის კუთხით და ამაში ცენტრალური ხელისუფლების დახმარება დაგვჭირდება. იმ ვითარებაში, როცა ადგილობრივ ხელისუფლებაში არის ნაციონალური მოძრაობა და ცენტრალურ ხელისუფლებაში – ახალი ხელისუფლება, თანამშრომლობა გართულებულია. არადა, საკითხის მოგვარება და თანამშრომლობა აქტუალურია და ვისურვებდი, რომ სპეციალური რგოლი შეიქმნას ჩვენსა და მინისტრთა კაბინეტს შორის, რათა ეფექტურად ვიმუშაოთ, – განაცხადა ზუმბაძემ.

საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით ზუმბაძემ ერთიანი პოლიტიკის არქონაზეც გაამახვილა ყურადღება. თავის დროზე განათლების სამინისტრომ ეს რგოლი ჩამოიცილა და თვითმმართველობებს გადასცა. ასე რომ, სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა მიდგომებია სკოლამდელი ასაკის ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, მაშინ როცა განათლების უწყვეტ რგოლის დასაწყისად უნდა მოიაზრებოდეს სკოლამდელი აღზრდა. აუცილებელია ეროვნული პოლიტიკის შემუშავება ამ კუთხით, რაც ბაღებისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასაც გულისხმობს.

## „ბარბარე რაფალიანცის საქმის გამოძიება წინა ხელისუფლების დროს ჩიხში შეიყვანეს"

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბარბარე რაფალიანცის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, გუშინ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ამ საქმის ცხელ კვალზე გამოძიება ვერ მოხერხდა, რამაც გამოძიება გაართულა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე საქმის პროკურატურისთვის გადაცემის საჭიროება არ არსებობს.

„წინა ხელისუფლების დროს გამოძიება შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩიხში იქნა შეყვანილი. ეს საქმე ცხელ კვალზე დროულად არ იქნა გამოძიებული. დღეს კი, ამის გამო, ფაქტის გამოძიება გართულდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ საქმეს მაინც გამოვიძიებთ და მისი პროკურატურისთვის გადაცემის არავითარი საჭიროება არ არის" – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 11 თვის ბარბარე რაფალიანცის ცხედარი, 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, ოჯახის წევრებმა ქვევრში ჩაგდებული და დამხრჩვალი იპოვნეს.

**ნიუსპრესი**

## პარლამენტის რიგგარეშე სესიას დღეს მოიწვევენ

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია 10 ივლისიდან იქნება მოწვეული. ამის შესახებ, პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

მან საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით უკვე წარუდგინა წინადადება რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ. როგორც დავით უსუფაშვილმა განაცხადა, სესია მუშაობას ხვალ 12:00 საათიდან დაიწყებს, ხოლო მიმდინარე კვირის პარასკევს მორიგი სხდომა გაიმართება.

რიგგარეშე სესიაზე, დღის წესრიგში შეტანილ კანონპროექტებს შორისაა: პროექტი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებების შეტანის შესახებ".

ბიურომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ ოცდაათამდე ახალ კანონპროექტზე განხილვის პროცედურის დაწყების შესახებაც მიიღო გადაწყვეტილება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ კანონპროექტზე „საგზაო მოძრაობის შესახებ".

რიგგარეშე სესიის პარასკევის სხდომაზე კი, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტზე დადებული ვეტოს დაძლევის საკითხის განხილვა.

**ნიუსპრესი**

## გამოძიებამ მამუკა მიქაუტაძის მეუღლე დაკითხა

8 ივლისს გვიან ღამით მამუკა მიქაუტაძის მეუღლე დაკითხეს. დაკითხვა მის სახლშივე მოხდა და დილის ხუთ საათამდე გაგრძელდა. დაკითხვის პროცესს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატებიც აკვირდებოდნენ.

ზიზი ეძგვერაძემ გამოძიებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მეუღლის დაკითხვის დროს გამოვლენილი დარღვევებისა და ზეწოლის შესახებ.

გამოძიებამ სახლიდან გარდაცვლილის ტანსაცმელი და პირადი ნივთები წაიღო.

ცხედრის გარეგანი დათვალიერების შედეგად მიღებულ დასკვნას დამოუკიდებელი ექსპერტები სავარაუდოდ დღეს გამოაქვეყნებენ.

შინაგან საქმეთა სამინსიტროს ინფორმაციით, ამ საქმეთან დაკავშირებით მიქაუტაძის მეგობრები და შს სამინისტროს რვა თანამშრომელი უკვე დაიკითხა.

შეგახსენებთ, რომ წინასწარი ინფორმაციით, 36 წლის მამუკა მიქაუტაძემ 6 ივლისს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვლილის მეუღლე ქმრის თვითმკვლელობამდე მიყვანაში თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მიქაუტაძისაგან სასურველი ჩვენება სამართალდამცავებმა მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიიღეს.

ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ სამართალდამცავებმა ის დაკითხვაზე აწამეს და მეგობრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა აიძულეს, რის გამოც პოლიციის შენობის დატოვების შემდეგ მან თვითმკვლელობა გადაწყვიტა. გარდაცვლილის მეუღლე ზიზი ეძგვერაძე იმასაც არ გამორიცხავს, რომ მისი მეუღლე მოკლული იყოს.

**მედიანიუსი**

## გამოკითხულთა უმრავლესობა ნატოსთან დაკავშირებით განმეორებითი პლებისციტის ჩატარების მომხრეა



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის" მიერ, მიმდინარე წლის 2 ივლისიდან 9 ივლისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში გამოკითხვის ხელახალი ჩატარების მომხრეა.

კითხვაზე – „უნდა ჩატარდეს თუ არა საზოგადოების ხელახალი გამოკითხვა ნატოში ინტეგრაციის სურვილთან დაკავშირებით," გამოკითხულთა 71,4 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 22,9 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხულთა 5,7 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

## ბურჯანაძე და მისი პარტია პაატა ბურჭულაძეს სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს ულოცავენ

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ და მისი ლიდერი, ქართველ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს, შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს ულოცავენ.

„ნინო ბურჯანაძე და პარტია „დემოკრატიული მოძრაობა,“ მსოფლიო ვარსკვლავს, შესანიშნავ ბანს და ღირსეულ მამულიშვილს პაატა ბურჭულაძეს სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს ულოცავს და მას შემოქმედებით წინსვლას უსურვებს.

გულითადად ვუსურვებთ წარმატებებს ბატონ პაატას იმ ღვთისნიერ საქმეშიც, რომელსაც იგი წლების მანძილზე, ჩვენი თანამოქალაქეებისათვის, მის მიერვე დაფუძნებული ფონდ „იავნანას“ ფარგლებში აკეთებს.

საბედნიეროდ, საქართველოს ყავს ისეთი მამულიშვილები, როგორიც პაატა ბურჭულაძეა. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებულ, ძლიერ და ღირსეულ საქართველოში ცხოვრებას, სადაც მისი საქველმოქმედო საქმიანობის საჭიროება მინიმალური გახდება, ხოლო მისი არაჩვეულებრივი საოპერო ხელოვნებით ტკბობის შესაძლებლობა ყველა მოქალაქეს ექნება“ – ნათქვამია მისალოც წერილში.

**ნიუსპრესი**

## მოქალაქეთა გამოსახლება სასამართლო დავების დასრულებამდე აღარ მოხდება

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად, ამიერიდან, სასამართლო დავების დასრულებამდე, გამოსახლება აღარ მოხდება.

მინისტრის შესაბამის ბრძანება, „საკანონმდებლო მაცნე“-ში უკვე გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის 614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის 747 ბრძანებით (სსმ III, 29.05.2007წ., 75, მუხ. 809) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აღნიშნული წესი ვრცელდება მათ შორის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის იმ შემთხვევებზე, რომლებზეც სასამართლოში მიმდინარეობს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავა.“.

2. მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ე1“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე1) უძრავ ნივთთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე“ – ნათქვამია შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში.

**ნიუსპრესი**

## წითელას ეპიდაფეთქების პრევენციისა და კონტროლის საკითხზე შეხვედრა გაიმართება

10-11 ივლისს სასტუმრო ,,თბილისი მერიოტში“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ბიუროსთან ერთად ატარებს შეხვედრას კავკასიასა და თურქეთში წითელას ეპიდაფეთქების პრევენციისა და კონტროლის შესახებ.

შეხვედრას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს დირექტორის თანაშემწე ნედრეტ ემიროგლუ და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი რუსუდან კლიმიაშვილი გახსნიან.

შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დიერექტორი ამირან გამყრელიძე. ასევე, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების, იუნისეფის და გაეროს ფონდის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილული იქნება წითელას ეპიდაფეთქების შეჩერებისა და შემდგომში მისი გავრცელების პრევენციის საკითხები.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია წითელას ეპიდაეფთქების შეწყვეტის კუთხით გატარებული ზომების შესახებ (იმუნიზაციის კამპანიის ჩათვლით), შემუშავდება რეკომენდაციები ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვის უზრუნველსაყოფად, გაძლიერდება საშუალო და გრძელვადიანი ღონისძიებები წითელა/წითურას შემთხვევათა შემცირების მიზნით და განვითარდება რეგიონული თანამშრომლობა და პარტნიორობა წითელა/წითურას ელიმინაციის მიზნის მისაღწევად.

**მედიანიუსი**



## ეკა ბესელია: „არჩევნების შემდგომ ქართულ ციხეებში პირობები საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდა“

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესილიას განცხადებით, არჩევნების შემდგომ ვითარება ქართულ ციხეებში რადიკალურად შეიცვალა, ამნისტიის შედეგად პატიმართა რაოდენობა 60 პროცენტით შემცირდა და პირობები საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდა

ამის შესახებ ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განცხადა.

როგორც დეპუტატი აცხადებს, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, დანაშაულთა რაოდენობა შემცირებულია და დანაშაულის გახსნის კოეფიციენტი ორჯერ გაიზარდა.

„ყველა ის პროვოკაციული განცხადება, რომ თითქოს რაიმე საფრთხეები უფრო მეტად არის გაზრდილი დანაშაულის ზრდის თვალსაზრისით, სრულიად უსაფუძვლო და ტყუილია", - განაცხადა ეკა ბესელიამ.

დეპუტატის თქმით, პატიმართა დასახმარებლად კომპლექსური სამუშაოები გრძელდება.

**მედიანიუსი**

# „ხელისუფლება ხალხს თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლებას არ აძლევს“

გულიკო ბალაძე



**უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა და ისაუბრა იმ ვითარებაზე, რაც, მისი ინფორმაციით, არსებობს სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში.**

**უფლებადამცველმა თავისი დამოკიდებულება გამოხატა ასევე ე.წ. „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით და სხვა საკითხების მიმართ.**

**მისი აზრით, რასაც „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით წინა და ახლანდელი ხელისუფლება აკეთებს, ეს არის ძალადობა თავისუფალ არჩევანზე.**

***– ბატონო გიორგი, როგორც ცნობილია, რუსთავის ქალთა კოლონიაში პატიმრები შიმშილობდნენ, რომლებმაც პარლამენტის წევრებთან შეხვედრის შემდეგ შიმშილობა შეწყვიტეს. როგორც უფლებადამცველი, რა კომენტარს გააკეთებდით ბოლო დღეებში რუსთავის ქალთა კოლონიაში განვითარებულ მოვლენებზე?***

– რუსთავის მე-5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფმა 150 პატიმარმა უარი თქვა პურის მიღებაზე და გამოაცხადა შიმშილობა. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, მათი მოთხოვნაა სასჯელის შემსუბუქება. ამავე წყაროს ცნობით, ქალთა კოლონიის პატიმრებმა უვადო შიმშილობა გამოაცხადეს იმიტომ, რომ ჯალათს მიუსაჯეს სამი წელი. როგორც ქალთა კოლონიის პატიმრები აცხადებენ, რეჟიმის მსხვერპლია ყველა ქალი დედა, რომლებსაც კიდევ შვიდი და რვა წელი აქვს მოსახდელი. მათ მთელმა კოლონიამ (ვინც ვერ დაჯდა საშიმშილოდ) სოლიდარობა გამოუცხადა. 150 პირი ზის და შიმშილობს. ამ ინფორმაციის პარალელურად დამიკავშირდა ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი ქალი, რომელმაც მაცნობა, რომ ქალთა კოლონიაში უკმაყოფილება გამოიწვია არაადეკვატურ სასჯელებზე შეკრებითობის პრინციპის არა იმ სახით გაუქმებამ, როგორიც იყო დაპირება. ამან განაპირობა არსებული მოლოდინის გაცრუება. პატიმრების განცხადებით, უდოს კომისია რეალურად არ ფუნქციონირებს. არის წყლის პრობლემა; სამკურნალო საშუალებების დეფიციტი; ადგილი აქვს არა სათანადო სამედიცინო მომსახურებას; არ ფინანსდება ოპერაციები; დაწესებულების მაღაზიაში არ ხდება პროდუქციის იმ სახით დაფასოება და რეალიზაცია, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს პატიმრებისათვის, რის გამოც პატიმარი ქალები იძულებული არიან, სარეალიზაციო პროდუქცია შეიძინონ დაწესებულების მაღაზიაში დაუფასოებელი სახით, რის საშუალება მათ არ აქვთ. საკვები ულუფის ოდენობა შეუმცირდათ. იქ მოთავსებულია რამდენიმე მძიმე ავადმყოფი, მათ შორის, ეკა ღუნდიშვილი, დიაგნოზით ნერვიული დერმიტი. არიან სხვა სახის დაავადებების მქონე პატიმარი ქალებიც, რომლებსაც ესაჭიროებათ გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა, რომელიც უწყების ვალდებულებას წარმოადგენს, მაგრამ ამ პირების მკურნალობა, ჯერჯერობით, რჩება პრობლემად. არის სხვა ყოფითი პრობლემებიც.

***–ბატონო გიორგი, სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ის პრობლემები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, მოგვარებულია.***

– ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით, საკითხი საფუძვლიან შესწავლას და სათანადო გადაუდებელ რეაგირებას საჭიროებს, რომლის ვალდებულება აქვს პენიტენციურ სისტემაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას, რათა შესაბამისობაში მოვიდეს პატიმარ ქალთა უფლებების დაცვა კანონმდებლობასთან და საერთაშორისო მოთხოვნებთან. საჭიროა კანონში შევიდეს ცვლილებები, შეკრებითობის პრინციპის გაუქმებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს პოლიტიკური ნების საკითხს და პარლამენტის პრეროგატივაა. რა თქმა უნდა, პენიტენციურ სისტემაში არის თემები, მით უმეტეს, პატიმარ ქალებთან დაკავშირებული, რომლებთან მიმართებაშიც, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, შესაძლებელია კანონმდებლობა უფრო ლიბერალური იყოს.

***– რა არის ცნობილი 2013 წლის 3 ივლისს რუსთავის ქალთა კოლონიაში პარლამენტარებთან ქალი პატიმრების შეხვედრის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე?***

– ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი ქალის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ამ საქმეზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი. რეალურად, ამ ფაქტზე გავრცელებული ინფორმაციის ნაწილი სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან მართალია პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს, მაგრამ მათი მოთხოვნები არ შეცვლილა. პატიმრები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმ ცრუ დაპირებების გამო, რომელიც გაჟღერდა წინასაარჩევნოდ. სამწუხაროდ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ დეპუტატების მიმართაც, რომლებისგანაც ჰქონდათ კონკრეტული მოლოდინი. როგორც ჩემთვის ცნობილია, პატიმრებს აქვთ ასევე პრეტენზია შეხვედრაში მონაწილე დეპუტატების მიმართ, რომლებმაც პატიმრებს შიმშილობის შეწყვეტა სთხოვეს იმ საბაბით, რომ, შესაძლებელია, მათი პროტესტი გამოყენებული ყოფილიყო მესამე ძალების მიერ. თუმცა, პატიმრებისთვის გაუგებარია, ვის გულისხმობდნენ დეპუტატები მესამე ძალაში და რა შუაშია სხვა ძალები, როდესაც საუბარია მათ კანონიერ უფლებებსა და სამართლიან პროტესტზე.

***–კონკრეტულად რა პრეტენზია აქვთ?***

– როგორც ჩემთვის ამავე წყაროზე დაყრდნობით გახდა ცნობილი, პატიმრებთან შეხვედრაზე მონაწილე დეპუტატებმა შიმშილობის შეწყვეტა სთხოვეს იმ არგუმენტით, რომ სექტემბერ-ოქტომბრის თვეში დაუბრუნდებიან მათი საკითხის განხილვას. ასევე ცნობილი გახდა ის გარემოება, რომ შეკრებითობის პრინციპის გაუქმების შემდეგ, სასამართლომ გაურკვეველი მიზეზით, რატომღაც არ გაავრცელა დადგენილი შეღავათები იმ ქალ პატიმრებზე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ პატიმარ ქალთა დაწესებულებაში ე.წ. „ბუნტის“ მოწყობაში. თანაც ეს საკანონმდებლო ცვლილება არ იქნა გამოყენებული იმ პირობებში, როდესაც ეს ინციდენტი განიხილებოდა, როგორც წინა ხელისუფლების პროვოკაცია. ყველა შემთხვევაში კანონის დაცვა ყველასათვის უნდა იყოს უზენაესი ღირებულება. აუცილებელია სრულყოფილად იქნას მოსმენილი და შესწავლილი აღნიშნული ინფორმაციის საფუძვლიანობა და დაკმაყოფილებული იქნას მოთხოვნის კანონიერი საფუძვლების დადგენის შემთხვევაში.

***– დღემდე გრძელდება პოლემიკა „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. როგორია თქვენი პოზიცია?***

– ის, რაც თვეების განმავლობაში ხდება „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით, ჯერ წინა ხელისუფლების და ამჟამად მოქმედი ხელისუფლების პირობებში, შესაძლებელია ერთი წინადადებით შეფასდეს, ეს არის ძალადობა ადამიანის თავისუფალ არჩევანზე. გაურკვეველია, რა შეიძლება იყოს საპოლემიკო ამ თემაზე, რადგან თავად ხელისუფლების განმარტებით, ამ ბარათზე არ დაიტანება რაიმე ისეთი ინფორმაცია პიროვნების შესახებ, რომელიც ექსკლუზიურია და არ ინახება კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებში. შესაბამისად, ამ ინფორმაციის თავმოყრა შეიძლება შედიოდეს მხოლოდ იმ პიროვნების ინტერესებში, რომელსაც აქვს კონკრეტული სურვილი ასეთი ინფორმაციის მატარებელი ბარათის ქონაზე. ამდენად, გაუგებარია, რატომ რჩება ეს საკითხი განსჯის საგნად და რატომ არ ხდება საკუთარი მოქალაქეებისათვის არჩევანის მიცემის საშუალება. საუბარი არ არის რაიმე რელიგიურ შეხედულებებზე და დოგმატურ სარწმუნოებრივ საკითხებზე, საუბარია მხოლოდ პიროვნების ფუნდამენტურ თავისუფლებაზე და მის ნებაზე, თავად მიიღოს გადაწყვეტილება ამ ბარათის მიღებასა ან ალტერნატიული ბარათით სარგებლობაზე. შესაბამისად, ნებისმიერი სხვა პოზიცია შეიძლება თავისუფლად შეფასდეს ძალადობად მოქალაქის თავისუფალ ნებაზე, რაც დაუშვებელია.

***– ბატონო გიორგი. საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი გახდა ამა წლის 17 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოვლენები. განსაკუთრებით რისხვის საგნად იქცნენ ეკლესიის მსახურები, რომელთა მიმართ გაჩნდა კითხვები გავრცელებული კადრებიდან გამომდინარე. თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

– რა თქმა უნდა, ვემიჯნებით ძალადობის ნებისმიერ ფორმას. თუმცა, კატეგორიულად მიუღებელია ის მიზანმიმართული ისტერია, რომელიც მომდინარეობს გარკვეული ჯგუფების მხრიდან საეკლესიო მსახურების წინააღმდეგ. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ეს ფაქტორი არავის არ უნდა ავიწყდებოდეს. საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელია იმ ღირებულებების საჯარო პროპაგანდა, თანაც იმ სახით, როგორც უნდოდათ განეხორციელებინათ 17 მაისს. ასეთი პროპაგანდა ეწინააღმდეგება ეროვნულ ზნეობრივ ღირებულებებს, რომ არაფერი ითქვას ამ საკითხის სარწმუნოებრივ მხარეზე. ეს იყო საზოგადოების და არა მხოლოდ ეკლესიის მსახურების პროტესტი, როგორც სურთ მონათლონ ფსევდო დემოკრატებმა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი საზოგადოების აბსოლუტურმა უმეტესობამ დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენების მიმართ, რაც ასევე ნებისმიერი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, რა თქმა უნდა, ძალადობის გარეშე. რაც შეეხება ეკლესიის ცალკეული მსახურების მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებს, იმ კადრებიდან გამომდინარე, რაც საზოგადოებამ იხილა, ნამდვილად არ ჩანს რაიმე ისეთი გადაცდომა, რისთვისაც შეიძლებოდა დაწყებულიყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება. როგორც განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, ეკლესიის ცალკეული მსახურები აღმოჩნდნენ ვითარების მსხვერპლნი, რადგან ცალკეული ორგანიზაციებისა და „მოღვაწეების“ ისტერიის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის ფონზე, ამ სისხლის სამართლის საქმეების წარმოებამ პიარის დანიშნულება შეიძინა.

# საიას თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს პასუხობს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც დავით უსუფაშვილი საზოგადოებას მამუკა მიქაუტაძის საქმესთან დაკავშირებით წინასწარი შეფასებებისა და ვარაუდებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს.

როგორც კოჟორიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის ვერ დაეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ არასამთავრობო სექტორმა ამ საქმეზე მუშაობის პროცესში რაიმეს გადააჭარბა.

,,უსუფაშვილმა ისიც განაცხადა, რომ მასაც აქვს ამ საქმესთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები, რომელზეც არ აქვს პასუხები. მე ვერ დავეთანხმები, რომ არასამთავრობო სექტორმა ამ საქმეზე მუშაობის პროცესში რაიმეს გადააჭარბა, ან თქვა რაიმე ისეთი, რაც რომელიმე არასამთავრობოს კომპეტენციაში არ ჯდებოდა. მე არ ვფიქრობ, რომ რაიმე ისეთი გაეკეთებინოს რაც ეწინააღმდეგება კანონდებლობას ან არ არის სამართლებრივად სწორი. ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა მოიქცეს სწორედ ასე, თუ ხედავს რომ არ ხდება ეფექტური გამოძიება, არასამთავრობო ორგანიზაციის დანიშნულება არის სწორედ ის, რომ თვითონ იაქტირუოს რათა კითხვის ნიშნები როგორღაც პასუხგაცემული იქნეს“, – განაცხადა კოჟორიძემ.



მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიმე თანამშრომლის პასუხისგებაში მიცემა. ან იმ შემთხვევაში თუ გამოძიებამ ვერ გამოკვეთა ვერცერთი პირის პასუხისმგებლობის საქმე, საიას გადაწყვეტილი აქვს და ოჯახთანაც შეთანხმებულია, რომ სასამართლოში შეიტანოს განცხადება და მოითხოვოს ოჯახისათვის ზიანის ანაზღაურება და გარდაცვლილის ორი არასრუწლოვანი შვილისათვის სარჩოს დაკისრება მათ სრულწლოვანების ასაკამდე მისვლამდე.

**მედიანიუსი**

# „არტ-გენის“ რეგიონული ღონისძიებები დასრულდა

ეკა ირემაშვილი

„არტ-გენის“ მეათე საიუბილეო ფესტივალი რეგიონებში დასრულდა. ბოლო კონცერტი მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში გაიმართა. ღონისძიებაში სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა რაიონის ფოლკლორული ანსამბლი მონაწილეობდა, მათ შორის პოლიკარპე ხუბულავა, ანსამბლი „ჩელა“, „ოდოია“ და ახალგაზრდა შემსრულებლები. სალხინოში გამართულ „არტ-გენის“ რეგიონულ დასკვნით კონცერტს დაესწრნენ მარტვილისა და ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე პეტრე და ბაღდათის მიტროპოლიტი მეუფე ანტონი. კონცერტთან ერთად, სოფელ სალხინოში ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. „არტ გენის“ რეგიონალური ღონისძიებები კახეთიდან დაიწყო და სამეგრელოში დასრულდა.

14 ივლისიდან „არტ-გენის“ დასკვნითი ნაწილი გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში გადაინაცვლებს. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მუზეუმში ყოველდღიურად ჩატარდება. თითოეული დღე სამ-სამ ეტაპს მოიცავს. დილიდან 6 საათამდე დაგეგმილი ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების ფასი 3 ლარია, 6-დან 8 საათამდე – 5 ლარი, ხოლო 8-დან ღამის 12 საათამდე – 10 ლარი. ფესტივალში მონაწილეობის მსურველებს ფესტივალის ვებგვერდზე დარეგისტრირება პირველ ივლისამდე შეეძლოთ.

წლევანდელი ფესტივალის თბილისური ნაწილი გაიხსნება ხალხური რეწვის, მხატვრობისა და მინანქრის გამოფენა-გაყიდვით, სადაც წარმოდგენილი იქნება მუსიკალური იმპროვიზაციები და მასტერკლასები ყველა დარგში, მოეწყობა ქართული საბრძოლო ხელოვნება „შავფაროსნების“ საჩვენებელი გამოსვლა. მსგავსი ღონისძიებები ფესტივალის ყველა დღეს მოეწყობა, რომელსაც შეანაცვლებენ სტუმრები საქართველოს რეგიონებიდან. „არტ-გენის“ პირველ დღეს თავის შემოქმედებას შეკრებილ მსმენელს წარუდგენს გურია და შიდა ქართლი, მომდევნო დღეებში კი „არტ-გენში“ ჩაერთვება სამცხე ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, ფოთი, ქვემო და ზემო სვანეთი, 17 ივლისს მოეწყობა აფხაზეთის დღე, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთი, თუშეთი, პანკისის ხეობა, მცხეთა მთიანეთი, აჭარა. ყოველი დღის დასკვნით კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ „სუხიშვილები“, რობი კუხიანიძე და „აუტსაიდერი“, ნიკა კაჩაროვი და მისი ბენდი, ჯგუფები „რეგიონი“ და „ფრანი“, პოლიფონიური ჯგუფი ესპანეთიდან, ეროვნული სამხედრო საჩვენებელი ორკესტრი, „თამაზ ყურაშვილი და მეგობრები“, ნინო ქათამაძე და „ინსაითი“, სარდინიული პოლიფონიური ჯგუფი, ჯგუფი „ჩვენებურები“, „ზუმბალენდი“. მეათე საიუბილეო „არტ-გენს“ ნიაზ დიასამიძე და „33ა“ დახურავს.

„არტ-გენი“ კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიასა და ევროკავშირთან ერთად სხვადასხვა ქართული კომპანიების მხარდაჭერით ეწყობა. პროექტს ფინანსურად მხარს ევროკავშირი უჭერს.

– ფესტივალის ძირითადი მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ასევე ყოველი მოძიებული მასალის დაარქივება და შენახვა მომავალი თაობებისთვის. ჩვენი ფესტივალის ფარგლებში ეწყობა კონცერტები და წარმოდგენები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით. ასევე ტარდება ხალხური რეწვისა და სახვითი ხელოვნების გამოფენა-გაყიდვები. ჩვეულებრივ ფესტივალი იწყება საქართველოს რეგიონებიდან და ტრადიციულად იხურება თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალი „არტ-გენი“ თავისი არსებობის მანძილზე არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დასწრებადი ღონისძიება საქართველოში, რომელიც ღიაა ყველა თაობისთვის. ჯგუფი „არტ-გენი“ 10 წლის წინ მეგობრების ჯგუფის მიერ შეიქმნა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-კულტურული პრობლემების დაფიქსირება და მათი წარმოჩენა. თავიდანვე ჯგუფის პრიორიტეტად განისაზღვრა საოჯახო ფოლკლორის და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია. აგრეთვე ფესტივალის სულისჩამდგმელთა სურვილი იყო აღედგინათ ხიდი ქალაქსა და სოფელს შორის, ჩამოეტანათ სოფლიდან ქალაქში ტრადიციული კულტურა, რაც, ერთი მხრივ, ახალგაზრდობაში გააღვივებდა ინტერესს მათი ისტორიისა და ტრადიციების მიმართ, მეორეს მხრივ დაანახვებდა სოფლის მცხოვრებლებს მათ მიერ შენარჩუნებული ტრადიციებისადმი ინტერესსა და მოთხოვნას. ამისთვის გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა ყოველწლიური სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“, რომელიც ყოველწლიურად ტრადიციულად იწყება ექსპედიციებით და ღონისძიებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, დასკვნითი ნაწილი კი იმართება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ექსპედიციების შედეგად მოძიებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა. ფესტივალის არსებობის განმავლობაში მის ბაზაზე ჩატარდა ასზე მეტი კონცერტი და ღონისძიება. დღეს ის წარმოადგენს ქვეყანაში ერთერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად საშუალოდ 30-40 ათასი ადამიანი ესწრება. ასე რომ ყველას გელით „არტ-გენზე“, – მიაჩნიათ ორგანიზატორებს.

ყოველ წელს ფესტივალი იძენს ახალ აქტუალურ თემას, რომელიც მას თან სდევს შემდგომშიც. ფესტივალის პირველ წელს მისი თემა იყო საოჯახო ფოლკლორი, რომელიც შემდეგ შეცვალა თემებმა ხალხური რეწვა, კავკასიური სახლი, ეკოტურიზმი, საქართველოს რეგიონები და მიგრაციის პრობლემები, მსოფლიო ტრადიციული კულტურები, საქართველოს ეკოლოგია და ბიო კულტურები, ქართული ენა დამწერლობა, განათლება, ტრადიციული ქართული ოჯახი. წელს კი ფესტივალის დევიზია – დღეს მონარქია საუკეთესო ტრადიციაა.

„არტ-გენის“ ბაზაზე იქმნება ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ მოძიებული მასალის აუდიო, ვიდეო და ფოტო არქივი. ამ მიზნით „არტ-გენის“ ჯგუფს გამოცემული აქვს წიგნი „საქართველოს რეწვის ოსტატები“, გადაღებული აქვს ფილმები „ადილა“ და „მოგზაურობა ფოლკლორში“, ამ ფილმების რეჟისორი გია დიასამიძეა. ფესტივალი ფარგლებში გამოცემულია სიდი „ქართული საოჯახო ფოლკლორი“, „არტ-გენი“. უკვე მესამე წელია გამოიცემა კვარტალური ჟურნალი „არტ-გენი“.

ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან თამრიკო მელიქიშვილი (რეწვისა და სახვითი ხელოვნების კურატორი, ჟურნალ „არტ-გენის“ რედაქტორი), მარია ლანევსკი (ფოტოგრაფი, საერთაშორისო ურთიერთობების კურატორი), ნიაზ დიასამიძე (თანამედროვე ხელოვნების კურატორი), ზაზა კორინთელი, ზუმბა (ტრადიციული ხელოვნების კურატორი), გიორგი ბარამიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი), ნიკუშა ანჯაფარიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი).

სპორტი

## შენგელიამ მეორე მატჩი ითამაშა

თორნიკე შენგელიამ ორლანდოს კემპზე მეორე მატჩი გამართა. შარშან, როცა ის „ბრუკლინს“ დრაფტზე ახალი აყვანილი ჰყავდა და კონტრაქტი არ ჰქონდა გაფორმებული, ასევე მონაწილეობდა ორლანდოს კემპში და შედეგიანი თამაშით კლუბის ხელმძღვანელობას გუნდში აყვანა გადააწყვეტინა. წლეულს კი ის ისეთ შედეგიანობას ვერ აჩვენებს. არადა, მეორე მატჩია, შენგელია სასტარტო ხუთეულშია და მოედანზე 23 წუთზე მეტ დროს ატარებს.

ბრუკლინელთა მორიგი ოპონენტი „ორლანდო“ იყო. შენგელიას გუნდი კვლავ დამარცხდა – ამჯერად 86:93. თორნიკემ 24,53 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 8-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. ქართველმა ფორვარდმა 6 ქულასთან ერთად 4 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი კი არ მოუხელთებია, რაც დიდი უცნაურობაა.

იმედებს ამართლებს ბრუკლინელთა ახალწვეული მეისონ პლუმლი, რომელიც დრაფტზე 22-ე ნომრად აიყვანეს. პირველ დღეს შესრულებული ორმაგი დუბლის შემდეგ, ტანმაღალმა პლუმლიმ „მაიამისთან“ 23 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. მან 8-დან 8 ორქულიანი ჩააგდო, რაც ახალბედისგან გამორჩეული შედეგია. ბომბარდირი კი ტაიშონ ტეილორი გახდა, რომელიც შარშანდლიდან მოყოლებული შენგელიასთან ერთად ცდილობს გუნდში თავის დამკვიდრებას.

## უსტიაშვილის გუნდმა წაგებით დაიწყო

საქართველოს 20-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა წარუმატებლად დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელიც ესტონეთში მიმდინარეობს.

დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი გუნდიპირველ მატჩი გერმანელებს შეხვდა. ამ გუნდთან ჩვენებმა რამდენიმე დღის წინ ამხანაგურად ითამაშეს და დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე დამარცხდნენ. ამჯერად კი უშანსოდ გამოიყურებოდნენ მეტოქის წინააღმდეგ და 75:89 წააგეს.

გერმანელებმა უპირატესობა ხელთ პირველივე წუთებიდანვე იგდეს და საწყისი 10-წუთეული 23:15 მოიგეს. კიდევ უფრო დამაჯერებლად მეტოქე მეორე მეოთხედში გამოიყურებოდა – 24:14 და დიდ შესვენებაზე ჩვენები 18 ქულით ჩამორჩნენ.

ამის შემდეგ გერმანიის ნაკრებმა თავს უფლება მისცა გაცილებით მშვიდად ეთამაშა, თუმცა მესამე მეოთხედი ქულით მაინც მოიგეს – 23:22. დასვნით 10-წუთეულს არაფრის გადაწყვეტა აღარ შეეძლო და გუნდები ინერციით მივიდნენ საფინალო სასტვენამდე.

მოგებულთან ბოგდან რადოსლავლიევიჩი გამოირჩა, რომელმაც ჩვენებს 25 ქულა ჩაუგდო. 10-ქულიან ზღვარს კიდევ სამი კალათბურთელი ასცდა.

ქართველთაგან მიქელაძე (19 ქულა) და კვანტალიანი (15) გამოირჩა, თუმცა მათი სროლის პროცენტული მაჩვენებელი არცთუ სახარბიელო იყო.

ხო, ევროპის ჩემპიონატის საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ლიდერის, ბექა ბურჯანაძის გარეშე ატარებს, რაც კიდევ უფრო ამცირებს ა დივიზიონში ადგილის შენარჩუნების საკითხს, მით უფრო, რომ წინ გაცილებით ძლიერი მეტოქეები ყავთ.

11 ივლისს საქართველო ნაკრები ლიტვას გაეჯიბრება, 12 ივლისს მეტოქედ ბერძნები ეყოლება, ხოლო 13 ივლისს – სერბები.

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# სპორტულმა ჟურნალისტებმა გარდაცვლილი კოლეგა დააფასეს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, კომპანია „რაფტინგ.ჯი“-ს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და მხარდამჭერი სპონსორების ერთობლივი ორგანიზებით, საერთაშორისო სპორტული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, ბორჯომში მასშტაბური მედია-ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალის ფარგლებში, მინი-ფეხბურთში „ბაჩოს თასი“, ხოლო ჯომარდობაში „მოროშას თასი“ გათამაშდა.

ფესტივალის პირველ დღეს, სპორტკომპლექს „ოლიმპის“ მოედანზე სპორტული ჟურნალისტები გაზეთ „სარბიელის“ ჟურნალისტის, ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტურნირზე – „ბაჩოს თასზე“ მინი-ფეხბურთში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მეორე დღეს კი მასშტაბური მედია-ტურნირი ჯომარდობაში ჩატარდა „მოროშას თასზე“.

„ბაჩოს თასზე“ 4 გუნდი მონაწილეობდა: „ბაჩოს მეგობრები“, „სარბიელი“, „პრეს-მედია“ და „ტელე-მედია“. ტურნირის გამარჯვებული „ბაჩოს მეგობრების“ გუნდი გახდა, რომელმაც ფინალში „სარბიელი“ 4:2 დაამარცხა. მე-3 ადგილი „პრეს-მედიამ“ მოიპოვა, რომელმაც პენალტების სერიაში 3:2 აჯობა (ძირითადი დრო 6:6) „ტელე-მედიას“. ნახევარფინალურ შეხვედრებში „ბაჩოს მეგობრებმა“ „ტელემედიას“ 15:7 სძლიეს, „სარბიელმა“ კი „პრეს-მედიას“ 2:1 აჯობა.

გამარჯვებული „ბაჩოს მეგობრები“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბაჩოს თასით, მედლებითა და ტურნირის მხარდამჭერის ლუდსახარშ „ნატახტარის თასით“ დააჯილდოვა. „ბაჩოს მეგობრებს“ გადაეცათ „ნატახტარის“ მიერ დაწესებული მთავარი პრიზიც – 500 ლარიანი ვაუჩერი რესტორან „წისქვილში“. მე-2, მე-3 და მე-4 ადგილებზე გასული გუნდები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია გორგოძემ და ბაჩოს სვანიძის მამამ, გია სვანიძემ მედლებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს.

„ბაჩოს თასის“ საუკეთესო მოთამაშედ ბაჩოს მეგობრების გუნდის წევრი ზურამ მიგრიაული დასახელდა, ბომბარდირი ასევე ბაჩოს მეგობრების გუნდის წევრი ოთარ მხეიძე გახდა, ტურნირის საუკეთესო მეკარედ კი სარბიელელი გიორგი ვაშაკიძე მიიჩნიეს. საუკეთესო მოთამაშეებმა პრიზებად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან სპორტული ლიტერატურა მიიღეს. ტურნირის მონაწილეები „ნატახტარმა“ ლუდით, „ბორჯომმა“ კი წყლით მოამარაგეს.

ჯომარდობის ტურნირზე ჯამში 18 გუნდი ჩაერთო და „მოროშას თასთან“ ერთად, ცალკე სპორტული ჟურნალისტებით დაკომპლექტებულ გუნდებს შორის კი დამატებით „ბაჩოს თასი“ გათამაშდა.

ჯომარდობის მედიატურნირის გამარჯვებული ტელეკომპანია „რუსთავი 2“ გახდა, მე-2 ადგილზე „ტელე იმედი“ გავიდა, მე-3 ადგილი კი ტელეკომპანია „ჯი დი ესმა“ მოიპოვა.

ჯომარდობის გენერალური სპონსორის, არაყი „მოროშას“ მხარდაჭერით, პირველ ადგილზე გასული გუნდი ერთი კვირით კიევში გაემგზავრება, მეორე ადგილზე გასული გუნდი ასევე ერთ კვირას გაატარებს „შატო მერეში“, მესამე ადგილოსანი კი წარმატებას თბილისის ერთ-ერთ უკრაინულ რესტორანში აღნიშნავს.

ჯომარდობაში გათამაშებული „ბაჩოს თასის“ მფლობელი „პრეს-მედიის“ გუნდი გახდა, რომელმაც სპორტულ ჟურნალისტთა გუნდებს შორის საუკეთესო დრო აჩვენა, ჯამში კი საპრიზო სამეულში მოსახვედრად მცირედი დააკლდა და მე-4 ადგილს დასჯერდა. ჯომარდობაში მონაწილე სპორტულ ჟურნალისტთა გამარჯვებული გუნდი, მედლებით და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ, სპორტულ ჟურნალისტთა გუნდის წევრებს კი „ნატახტარისგან“ რესტორან „ნიავის“ 500-ლარიანი ვაუჩერიც ხვდათ წილად. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს „ბაჩოს თასი“ და მედია ჯომარდის ტურნირი „მოროშას თასი“ პირველად გაერთიანდა ერთი ქუდის ქვეშ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით.

# ბრიტანეთს ნამუსი მიურეიმ მოსწმინდა

77-წლიანი შესვენების შემდეგ ვაჟთა უიმბლდონი ბრიტანელმა მოიგო – ფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ენდი მიურეიმ სერბ ლიდერს ნოვაკ ჯოკოვიჩს სამ სეტში სძლია – 6:4, 7:5, 6:4. მიურეიმდე ბოლო ბრიტანელი, რომელმაც ვაჟთა უიმბლდონი მოიგო, ფრედ პერი გახლდათ, რომელმაც 1936 წელს აღმართა მთავარი ჯილდო.

**ენდი მიურეი:**

– ეს იყო ჩემს კარიერაში ყველაზე რთული მატჩი. ახლაც არ მჯერა, რომ უიმბლდონი მოვიგე. ალბათ, კიდევ კარგა ხანი დამჭირდება იმის ზედმიწევნით ზუსტად გასაცნობიერებლად, თუ რას მივაღწიე. ჩემთვის ეს ყველაფერი დაუჯერებელია.

შოტლანდიელი და სერბი კარიერაში მეცხრამეტედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჯერჯერობით ნოვაკ ჯოკოვიჩი კვლავ წინაა – 11:8. საგულისხმოა, რომ მიურეიმ მეტოქე შარშან სექტემბერშიც დაამარცხა ამერიკის ღია ჩემპიონატის ფინალში, როცა პირველად მოიგო დიდი სლემის ტურნირი. ისინი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წლევანდელ ფინალშიც შეხვდნენ, თუმცა მელბურნში სერბმა მოიგო. და კიდევ: შოტლანდიელმა ზედიზედ მეორედ იასპარეზა უიმბლდონის გადამწყვეტ მატჩში – ერთი წლის წინ ის ლეგენდარულ შვეიცარიელთან როჯერ ფედერერთან დამარცხდა.

მიურეიმ წელს მეოთხე ტურნირი მოიგო: ბრიტანელმა უიმბლდონამდე ბრისბენში, მაიამის მასტერსსა და ლონდონში იმარჯვა. ფინალში გამარჯვებისთვის შოტლანდიელმა 2.000 სარეიტინგო ქულა და 1,6 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო, ნოვაკ ჯოკოვიჩმა კი 1.200 ქულა და 800.000 გირვანქა.

გოგონათა შორის ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში გერმანელ საბინ ლისიცკის სძლია – 6:1, 6:4. ბარტოლიმ კარიერაში პირველად მოიგო დიდი სლემის ტურნირი, პროფესიულ ჩოგბურთში კი მერვე გამარჯვება იზეიმა.

ვაჟ წყვილთა შორის ბობ და მაიკ ბრაიანებმა გაიმარჯვეს, რომლებმაც კარიერაში 91-ე, წელს კი მე-9 ტიტული მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ ამერიკელმა ტყუპებმა წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატიც მოიგეს და როლან გაროსიც. ცნობისათვის: ჩოგბურთის ისტორიაში მათი წყვილი პირველია, რომელიც დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოქმედი ჩემპიონია და ამავდროულად, ოლიმპიური ოქროს მფლობელიც.

მიურეი ძალიან გახარებული იყო პრესკონფერენციაზე, სადაც აგრეთვე მისი მწვრთნელი, ლეგენდარული ივან ლენდლიც იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ ლენდლს ყველა ტურნირი მოგებული აქვს უიმბლდონის გარდა და ეს ნატვრა ამჯერად მწვრთნელის რანგში აისრულა.



***– შარშან თქვენ განაცხადეთ, რომ არ არსებობს იმაზე დიდი წარმატება, რასაც ამერიკის ღია პირველობის მოგება ჰქვია. ახლა როგორ ფიქრობთ?***

– უიმბლდონზე გამარჯვება საჩოგბურთო კარიერის მწვერვალია. ბოლო გეიმში დაუჯერებელი შეგრძნებები გადავიტანე. ის რამდენიმე ქულა ყველაზე რთული იყო ჩემს ცხოვრებაში. დღემდე არ მჯერა, რომ ეს მოხდა.

***– ბოლო გეიმის დროს გახსოვდათ, რომ მრავალწლიანი შესვენების შემდეგ შეიძლებოდა უიმბლდონის პირველი ბრიტანელი გამარჯვებული გამხდარიყავით?***

– მატჩის ბოლო ნახევარი საათი ცოტათი გაფანტულია ჩემს გონებაში. კარგად არც მახსოვს, როგორ მოვახერხე 2:4-დან სეტის გადარჩენა.

***– მატჩი სამ პარტიაში დასრულდა, მაგრამ, ალბათ, ფინალმა ბევრი ენერგია წაგართვათ.***

– რა თქმა უნდა. ძალიან ცხელოდა, ამ ტურნირზე კი ასეთ ამინდში არასოდეს მითამაშია. ამასთან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ წელს, ზურგის ტრავმის გამო, როლან გაროსის გამოტოვება მომიწია. მარტო პირველი ოთხი გეიმი დაახლოებით ნახევარი საათი გრძელდებოდა, ამიტომაც შეხვედრა დიდ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვდა.

***– თქვენ თითქმის შეუძლებელი მოახერხეს – გაღიმება აიძულეთ თვით ივან ლენდლს, რომელსაც უიმბლდონი არასოდეს მოუგია. როგორ მოგილოცათ მწვრთნელმა?***

– ივანმა მითხრა, რომ ჩემით ამაყობს. ის მართლაც იშვიათად იღიმის ხალხში, მაგრამ ტელეკამერების მიღმა სულ სხვა ხასიათს ამჟღავნებს. რა თქმა უნდა, ივანისთვის უკეთესი იქნებოდა თავად მოეგო უიმბლდონი. ბევრისგან განსხვავებით, ჩემი ბოლომდე სჯეროდა და დიდი მოთმინება გამოიჩინა.

***– რა გასწავლათ მწვრთნელმა პირველ რიგში?***

– დამარცხებებისგან დასკვნების გამოტანა. ივანი ყოველთვის გულწრფელი იყო ჩემთან ურთიერთობაში და ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობდა – იქნებოდა ეს სასიამოვნო ფრაზები თუ საყვედური. ჩოგბურთში, როცა მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის ურთიერთობას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, ეს არც ისე იოლია.

***– შეგიძლიათ დაგვისახელოთ გადამწყვეტი თვისება, რამაც ამ ტიტულის მოგების საშუალება მოგცათ?***

– ვფიქრობ, მიზნის მისაღწევად სიჯიუტე და მონდომება. დიახ, მე მქონია არაერთი დასანანი მარცხი, მაგრამ, საერთო ჯამში, მთელი კარიერის განმავლობაში ვპროგრესირებდი.

***– თქვენ მიაღწიეთ მიზანს, რომლისკენაც მრავალი წლის განმავლობაში მიდიოდით. ახლა არ გსურთ სხვა რამეზეც დაფიქრდეთ, მაგალითად, თქვენ შეყვარებულს დაელაპარკოთ და ოჯახი შექმნათ?***

– ამაზე ჯერ არ მიფიქრია!

# თბილისი ოუფენმა ახალი კალათბურთი დააჭაშნიკა

ზარ-ზეიმითა და გუნდ „ანდ 1“-ის ტრიუმფით დასრულდა პირველი საერთაშორისო ტურნირი სამი-სამზე ქუჩის კალათბურთში – თბილისი ოუფენი 2013. სპორტის სასახლესთან გამართული მასშტაბური ტურნირი საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ორგანიზებითა და კომპანია :ოლ ტურისა“ და „ბორჯომის“ სპონსორობით ჩატარდა. ფინალური მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირდაპირ ეთერში, 22 საათიდან გადასცა.

თბილისი ოუფენი 2013 ქუჩის კალათბურთში პირველი ტურნირია, რომელიც ფიბა-ს ეგიდით ჩატარდა. სამი-სამზე კალათბურთი ფიბა-მ თავის ოფიციალურ კალენდარში შეიყვანა, დიდ ყურადღებას აქცევს და ნელ-ნელა სპორტის ეს სახეობა ოლიმპიურ ფერხულშიც ებმება. სამი-სამზე კალათბურთი უკვე შეიყვანეს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე – იმართება მსოფლიოს, ევროპის და სხვადასხვა საკონტინენტო ტურნირები როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში და ასაკობრივ კატეგორიებში.ამას გარდა, თვეში რამდენიმე ფიბა-ს ტური ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გამარჯვებულ გუნდს, რომლის ღირსებასაც ლაშა ეძგვერაძე, ირაკლი ალხანაიძე, ბექა ახალაია და დავით ეძგვერაძე იცავდნენ, ტურისტულმა კომპანია „ოლ ტურმა“ სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზურები გადასცა. რაც შეეხება ფინალში დამარცხებულ „პანტერას“ (მამუკა ტურაშვილი, ზაზა ღონღაძე, ამროსი ორმოცაძე, გიორგი გაგნიძე), ვეტერანთა გუნდს საზოგადოებრივი მაუწყებლის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა დავით არველაძემ ფულადი ჯილდო გადასცა. „პანტერას“ წევრები სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ დიპლომებითა და მეორე საპრიზო ადგილის მფლობელისთვის განკუთვნილი მედლებით დააჯილდოვა.

ტურნირის მსვლელობისას ორგანიზატორებმა ჩატენვებისა და სამქულიანების ტურნირებიც ჩაატრეს და გამარჯვებულები შესაბამისი პრიზებით დააჯილდოვეს. სნაიპერთა კონკურსის ფინალში გუნდ „ქარიშხალას“ წევრმა ნიკა ნოზაძემ „შოთინგ სტარის“ მოთამაშე დავით ბაბუნაშვილი დაამარცხა, ხოლო ჩატენვების კონკურსი ჩემპიონი გუნდის ლიდერმა ირაკლი ალხანაიძემ მოიგო, რომელმაც ფინალში ტურნირის სირიელი მონაწილე მოჰამედ ალვაში დაამარცხა. ჩემპიონობასა და ჩატენვების კონკურსთან ერთად ალხანაიძემ თბილისი ოუფენი 2013-ის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული სპეციალური თასი და ფულადი ჯილდო მოიგო. ალხანაიძე განსაკუთრებით პლეი ოფის მატჩებში გამოირჩეოდა და ანდ-ს უდიდესი დახმარება გაუწია, რაც დაუფასდა კიდეც.

ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული ვეტერანმა და ყველასთვის კარგად ნაცნობმა კალათბურთელმა, ანტონ კაზანჯიანმა დააჯილდოვა, ხოლო ტურნირის სნაიპერს საგანგებო თასი ერთ-ერთმა გამორჩეულმა სტრიტბოლერმა მიხეილ ამაშუკელმა გადასცა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე, სამქულიანი და ჩატენვების კონკურსების გამარჯვებულები თბილისი ოუეგფენი 2013-ის ერთ-ერთმა სპონსორმა, კომპანია „ბორჯომმა“ სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა.

ტურნირის მსვლელობისას თამაშდებოდა ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურები. ტურნირის წამყვანი ხან მოედანზე იხმობდა მსურველებს და თუკი ბურთს ჩააგდებდნენ, მაისურს ჩუქნიდა, ხანაც ნაკრების ეკიპირებას მაყურებლებში ისროდა და ვინც მოიხელთებდა, საჩუქარიც მისი იყო.

ტურნირი საზეიმო ფეიერვერკითა და ზალპით დასრულდა. გამარჯვებულები საკუთარი წარმატებით გაბედნიერდნენ, მაყურებელი კი სპორტის სასახლესთან ნანახი სანახაობა კარგა ხანს გაჰყვება. სამი-სამზეკალათბურთი ფიბა-ს მხარდაჭერით საქართველოში ფეხს კიდევ უფრო მოიკიდებს – წინ კიდევ არაერთი, საინტერესო ტურნირია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მხითარიანმა, ვილიამ და გომესმა ახალი კლუბები ნახეს

24 წლის სომეხი შემტევი ნახევარმცველი, ჰენრიკ მხითარიანი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის, „დორტმუნდის“ შემადგენლობაში ითამაშებს. გერმანელებმა „შახტარს“ ფეხბურთელში 25 მილიონ ევროდ გადაუხადეს და მასთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

გერმანულმა პრესამ მხითარიანს „ტრანსფერების მეფე“ უწოდა და დაწერა, რომ გენრიხი „დორტმუნდში“ მე-10 ნომრით ითამაშებს.

მხითარიანი დონეცკის „შახტარში“ 2010-13 წლებში თამაშობდა. ამ 3 წლის განმავლობაში მან უკრაინული გუნდის მაისურით 103 თამაში ჩაატარა და 42 გოლი გაიტანა. „შახტართან“ ერთად, მხითარიანმა სამ-სამჯერ უკრაინის ჩემპიონატი და თასი, ხოლო ერთხელ სუპერთასი მოიგო.

კატალონიური „ბარსელონასა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის შეთანხმება მიღწეულია და „ბარსას“ თავდამსხმელი დავიდ ვილია მოღვაწეობას დედაქალაქურ გუნდში გააგრძელებს. მადრიდული გუნდი კატალონიელებს 5.1 მილიონ ევროს გადაუხდის. აქედან 3.1 მილიონს „ბარსა“ სეზონის დასაწყისშივე მიიღებს, ხოლო თუ ვილია „ატლეტიკოში“ 2014-2015 წლებშიც ითამაშებს, დარჩენილ 2 მილიონსაც ჩაიჯიბავს. იმ შემთხვევაში თუ „ატლეტიკო“ ვილიას გაყიდის, მიღებული თანხის 50 პროცენტს კატალონიელებს გადაუხდის.

„ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ კომენტარი „თეთრ-წითლების“ ახალ შენაძენზე გააკეთა.

– ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ვილია „ატლეტიკოშია“. ის ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი და ყველაზე მეტი გოლის ავტორია. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები კმაყოფილები იქნებიან. ჩვენ მართლაც უმნიშვნელოვანესი ტრანსფერი განვახორციელეთ და ყველა ჩვენს კეთილის მსურველს დაუვიწყარ სეზონს ვპირდებით. ფალკაოს გატანილ გოლები რთულია ვინმემ გააუმჯობესოს. მაგრამ ვილიას ამის უნარი შესწევს და გუნდის წარმატებისთვის ყველაფერს გააკეთებს, – განაცხადა სერესომ.

ევროპული პრესა აჭრელებულია ინფორმაციით, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ და „ფიორენტინა“ მარიო გომესის ტრანსფერზე შეთანხმდნენ. ევროპის საუკეთესო გრანდის ბოსი კარლ-ჰაინც რუმენიგე ამბობს, რომ გომესთან საუბარი ჰქონდა ბოსობას და მარიოს ძალიან უნდოდა სწორედ „ფიორეში“ გადასვლა.

შეგახსენებთ, რომ 2009 წელს „შტუტგარტიდან“ გომესის გადაყვანა „ბაიერნს“ 33 მილიონი ევრო დაუჯდა და 172 შეხვედრაში 112 გოლის გატანა მოახერხა. ამას გარდა, გუნდთან ერთად მოიგო გერმანიის თასი და სუპერთასი ორჯერ, ბუნდესლიგა და ჩემპიონთა ლიგა – ასევე არ დაგვავიწყდეს, რომ 2011 წელს ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ „სუპერმარიომ“ „იებთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ის იტალიელებს 20 მილიონი ევრო დაუჯდათ.

# 19-წლამდელები ტესტ-მატჩისთვის ემზადებიან

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების ლატვიური შეკრება ჩვეული ტემპით, მშვიდად მიმდინარეობს. გუნდი კვლავ ორჯერადი ვარჯიშებითაა დატვირთული.

დღეს, გია ცეცაძე ნაკრებს მხოლოდ საღამოს ავარჯიშებს. 11 ივლისს კი, ჩვენს გუნდს ტესტ-მატჩი ექნება რიგის „სკონტოს“ დუბლებთან, რის შემდეგაც, ყველა სტადიონზე წავა ევროპის ლიგის მატჩზე დასასწრებად ლაშა დვალის მხარდასაჭერად. 12 ივლისიდან ორჯერადი ვარჯიშები კვლავ განახლდება.

ლატვიაში ჩავიდა და შეკრებას შეუერთდა რუბინის „ყაზანის“ ქართველი ფორვარდი ნიკა კაჭარავა.

– ერთი სული მქონდა, როდის წამოვიდოდი. ნაკრებთან ერთად ყოფნა მინდოდა. ჩემს ფრანგ თანაგუნდელს შევპირდი, თქვენების კარში გოლს გავიტან-თქო და ძალიან მინდა, ნათქვამი შევასრულო, – ამბობს 19-წლამდელთა ფორვარდი.

საღამოს ვარჯიშით კი გია ცეცაძე კმაყოფილი დარჩა. თუმცა, მისი თქმით, ეს „ნამდვილი“ ვარჯიშის 70 პროცენტი იყო და ნათელია, რომ გუნდი დღითიდღე უმატებს.

თემურ ლორთქიფანიძე, ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი:

– ამ ბიჭებმა მზადების პირველი ეტაპი თავიანთ კლუბებში გაიარეს და რაღაც დონეზე მივიდნენ. ჩვენ გუშინ, საღამოს ვარჯიშზე პატარა გამძლეობის ტესტი ჩავატარეთ – ე.წ. „სათამაშო ვარჯიში“ და ვნახეთ, რომ ბიჭები უკვე საკმაოდ კარგ დონეზე არიან. ამას მათი პულსი და გულისცემის სიხშირეც ადასტურებს. დღევანდელ დილის ვარჯიშზე კი, რეაქტიულ ძალაზე ვიმუშავეთ; ანუ დატვირთვა გაიზარდა და შემიძლია გითხრათ, რომ ფეხბურთელებმა თავი კარგად წარმოაჩინეს. ასე ნელ-ნელა წავალთ წინ და მივალთ ევროპის ჩემპიონატამდე. დატვირთვები, როგორც ასეთი, არ მოიმატებს, რადგან ტურნირამდე მცირე დროა დარჩენილი და მერე ფიზიკური შესაძლებლობების ვარდნა იწყება-ხოლმე. რაც საჭიროა, ყველაფერი იქნება ზომიერი და დაბალანსებული. იმ ფეხბურთელების პრობლემაც არ იქნება, რომლებიც ნაკრებს გვიან შემოუერთდებიან. ნიკა ჭანტურია და ნიკა სანდოხაძე ევროპალიგას თამაშობენ. ნიკა კაჭარავა კი, თავის კლუბთან ერთად შეკრებაზე იყო და ამხანაგური თამაშები ჩაატარა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნაკრებში მოუმზადებელი არავინაა. მთავარი ფსიქოლოგიური მომენტია, თუ როგორი განწყობით ჩამოვლენ. ასე რომ, გუნდის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემპიონატის დაწყებისას ფეხბურთელების მომზადებით კმაყოფილი ვიქნები.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონკაკაფის ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| სალვადორი-ტრინიდადი | 2:2 |
| ჰაიტი-ჰონდურასი | 0:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ჰელსინბორგი-გიოტებორგი | 1:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ჰონეფოსი-ბრანი | 1:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ლახტი-მიუპა | 3:0 |

# სოზარ სუბარი: „პრეზიდენტის მიერ წელს შეწყალებული პატიმრების დაახლოებით 4 პროცენტი ციხეში დაბრუნდა“



საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ წელს შეწყალებული პატიმრების დაახლოებით 4 პროცენტი უკან ციხეში დაბრუნდა, მაშინ როცა ამნისტიითა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

როგორც სუბარმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ტენდენცია შეინიშნება ბოლო პერიოდში, რომ თუკი რაიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ხდება, მაშინვე ხდება აპელირება, თითქოს ეს ამნისტირებულმა პატიმრებმა ჩაიდინეს

„დანაშაული ხდებოდა ყოველთვის. რატომღაც ასეთი ტენდენცია შეინიშნება ბოლო პერიოდში, რომ თუკი რაიმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ხდება, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, მაშინვე ხდება აპელირება, თითქოს ეს ამნისტირებულმა პატიმრებმა ჩაიდინეს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს ასე არ არის. ზოგადად, პრეზიდენტის მიერ წელს შეწყალებული პატიმრების დაახლოებით 4 პროცენტი უკან დაბრუნდა, მაშინ როცა ამნისტიითა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. კერძოდ, ამნისტიის შედეგად გათავისუფლებულების 2 პროცენტზე ნაკლები, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლებულების 1,5 პროცენტი უკან საპატიმროში დაბრუნდა“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

**მედიანიუსი**

# მიზანდარების ნივთები კონსერვატორიაში

**ეკა ირემაშვილი**

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გამართეს მუსიკალური საღამო, რომელზეც შესრულდა ფელიქს, ალოიზ, ვალერიან და დაგმარა მიზანდარების მიერ შექმნილი საფორტეპიანო, კამერული და ვოკალური ნაწარმოებები. ღონისძიებაზე ნაჩვენები იქნა მიზანდარების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ვიდეომასალა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი რეზო კიკნაძე, კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმის დირექტორი მარინე ჩიხლაძე და მიწვეული სტუმრები.

კონცერტის დასასრულს კომპოზიტორმა ლევან მიზანდარმა კონსერვატორიის მუზეუმს გადასცა მიზანდარების ისტორიულ-საგვარეულო ნივთები და როიალი, რომელზეც აღიზარდა ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი, ერთ-ერთი პირველი ქართველი დირიჟორი, სახალხო გვარდიის სასულე ორკესტრის დამაარსებელი, ევგენი მიქელაძის აღმზრდელი – მასწავლებელი, 1919-23 წლებში თბილისის სახელმწიფო ოპერის დირიჟორი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მუზეუმში ინახება ის როიალი, რომელზეც მიზანდარი და ლისტი ერთად უკრავდნენ. როიალი, რომელზეც ფელიქს მიზანდარი ზაქარია და ივანე ფალიაშვილებს დაკვრას ასწავლიდა, კონსერვატორიის მუზეუმს ჯერ კიდევ ორი წლის წინ გადაეცა. როიალი მუზეუმს ფელიქს მიზანდარის მემკვიდრე ლევან მიზანდარმა გადასცა. მას ინსტრუმენტი მემკვიდრეობით გადაეცა და 27 წელიწადს მის სახლში ინახებოდა.

– ეს ინსტრუმენტი ჩემს ოჯახს ეკუთვნოდა და მემკვიდრეობით გადმომეცა. გადავწყვიტე, 1880 წლით დათარიღებული როიალი მუზეუმში იყოს განთავსებული. როიალი, რომელზედაც ფელიქსი უსასყიდლოდ ამეცადინებდა ზაქარია და ივანე ფალიაშვილებს, ისტორიას ეკუთვნის. ის, როგორც ძველი ინსტრუმენტი, რესტავრაციას საჭიროებს, – განაცხადა მაშინ ლევან მიზანდარმა.

ამავე პერიოდში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში წიგნის პრეზენტაცია მოეწყო, რომელიც პირველ ქართველი პროფესიონალი კომპოზიტორის, პიანისტის, ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლის, პირველი სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებლის, რომლის ბაზაზეც აღმოცენდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ალოიზ მიზანდარისა და მიზანდარების საგვარეულოს სხვა ცნობილი წამომადგენლების მოღვაწეობას მიეძღვნა. წიგნში თავი მოიყარა არქივებსა და მუზეუმებში დაცულმა ფოტოდოკუმენტებმა, ქართველ ხელოვანთა და მუსიკათმცოდნეთა მოგონებებმა და შრომებმა, IX-XX საუკუნეების საგაზეთო სტატიებმა.

ფალიაშვილების მუსიკის პირველი მასწავლებლის – ფელიქს მიზანდარისა და სახალხო გვარდიის სასულე ორკესტრის დამაარსებლის, ევგენი მიქელაძის მასწავლებლის – ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის არქივებზე მუშაობა ლევან მიზანდარმა 2006 წელს დაიწყო.

– რამდენიმე წელია, აქტიურად ვმუშაობ. დავდიოდი სხვადასხვა მუზეუმში. არქივებს ვათვალიერებდი. წყაროები შევისწავლე, ისტორიულ დეტალებში აცდენილი შეცდომები გადავამოწმე და გავწმინდე. ამაზე მუშაობა იმიტომ დავიწყე, რომ „მიზანდარი“ ყველას გამოგონილი გვარი ეგონა. მის ხსენებაზე „მიმინო“ ახსენდებათ. მინდოდა, ამ წიგნით საზოგადოების შეხედულება შემეცვალა, – განმარტა წიგნის ავტორმა.

ამჯერად ლევან მიზანდარმა მუზეუმს კვლავ გადასცა საგვარეულო ნივთები და როიალი, აგრეთვე, პროექტორი და ეკრანი, რისი საშუალებითაც მუსიკალური საღამოს დაწყებამდე აჩვენეს მიზანდარების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ვიდეომასალა.

– ვალერიან მიზანდარი პირველი საერთაშორისო მნიშვნელობის ქართველი პიანისტი, კომპოზიტორი, ქართული სამუსიკო სკოლის ფუძემდებელია. იგი კონცერტებს მართავდა პეტერბურგში, პარიზსა და ვენაში. მისი მეგობრები იყვნენ ჩაიკოვსკი, ლისტი, ბრამსი. გადმოცემის თანახმად, მიზანდარი და ლისტი ხშირად უკრავდნენ ერთ როიალზე. ვალერიან მიზანდარის საფორტეპიანო ნაწარმოებები ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშებია. მან დიდი წვლილი შეიტანა კონსერვატორიის დაარსებაში. მიზანდარები – ამ გვარის ყველაზე უმცროსი წარმომადგენლის, ლევან მიზანდარის ჩათვლით – მუსიკალურ სფეროში მოღვაწეობდნენ. სწორედ მისი სურვილით გადაეცა როიალი კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმს, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმის ხელმძღვანელ მარინე ჩიხლაძეს მიაჩნია, რომ ეს საჩუქრები მუზეუმის განსაკუთრებული შენაძენია.

– სადირიჟორო ჯოხი, ფლეიტა, სამხრეები, ნოტები და როიალი, რომელზეც ოდესღაც ლისტი, ბრამსი და სხვა ძალიან ცნობილი პიანისტები უკრავდნენ, თავდაპირველად მათი მფლობელი ალიოზ მიზანდარის უმცროსი ძმა და ვალერიან მიზანდარის მამა, ფელიქს მიზანდარი იყო. ფელიქსი სწორედ ამ როიალზე ასწავლიდა დაკვრას ზაქარია და ივანე ფალიაშვილებს, ევგენი მიქელაძეს. 1983 წლიდან როიალი მემკვიდრეობით ერგო მიზანდარების მუსიკალური დინასტიის თანამედროვე წარმომადგენელს, კომპოზიტორ ლევან მიზანდარს. ახლა ის ჩვენს მუზეუმშია, რაც განსაკუთრებული შენაძენია, – განაცხადა მუზეუმის ხელმძღვანელმა.

– კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაა, ამიტომ ისეთი კერების არსებობა, როგორიც კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმია, სტუდენტებს გაუადვილებს წარსულის მაგალითებით ხელმძღვანელობას. პირადად ჩემთვის დიდი სტიმულისა და მაგალითის მომცემია ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის ცხოვრება და საქმისადმი ერთგულება, – აღნიშნა კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილე მარინე მიზანდარმა.

# მუცოს ციხე-კოშკები ნადგურდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კონსტრუქციული და საფორტიფიკაციო ელემენტები: ვიწრო ქუჩა თაქსელი, მცირე მოედნები, სართულშუა გადახურვების და ბანების დონეები, ქვის კიბეები, სათავდაცვო დანიშნულების სხვადასხვა დეტალები, სალოდეები და სათოფურები. დღემდე მოღწეული ნაგებობები, შესაძლებელია, სავარაუდოდ, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღდეს. მუცოს ციხე-სახლების, კოშკების და აკლდამა-სამაროვნების წინასწარი სარესტავრაციო გამოკვლევა პირველად 1989 წელს დაიწყო, მაგრამ არ დასრულებულა. 2004 წელს თიბისი ბანკმა და კომპანია „არსმა“ პროექტ

„ქართული სახლის“ ფარგლებში დაიწყეს მუცოს უნიკალური კომპლექსის

რეაბილიტაცია. მოეწყო მუშა ექსპედიცია, რომლის განმავლობაშიც შესრულდა

სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოები.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს

დაფინანსებით მომზადდა მუცოს კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. ექსპედიციის შედეგად, აიზომა ნაგებობები, გამოიხაზა გეგმები, შესრულდა

სახელოვნებათმცოდნეო და ეკოლოგიური კვლევა, შეფასდა და აღიწერა ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა, შესრულდა ტოპოგეგმა, შეივსო სააღრიცხვო ბარათები, გადაღებულ იქნა მაღალი რეზოლუციის მქონე ფოტოები. ზემოაღნიშნული სამუშაოების საფუძველზე მომავალში შესაძლებელი იქნება მუცოს კომპლექსის რეაბილიტაცია“, – წერია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დოკუმენტში.

მუცოს ციხე-სიმაგრეების აღდგენასა და გადარჩენას უკვე წლებია ითხოვს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი. მათ შორის, „გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფიც.

„მუცოს ციხე-სიმაგრეები სავალალო მდგომარეობაშია და იქ ბოლო 9 წლის განმავლობაში არანაირი სარესტავრაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, რის გამოც ისტორიულ-არქიტექტურული მნიშვნელობის ნაგებობები ინგრევა. საქართველოს ხელისუფლება უამრავ ახალ შენობას აშენებს, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობები. საქართველოს პრეზიდენტს თბილისში შუშის ხიდის მშენებლობა 40 მილიონი ლარი დაუჯდა, ხოლო მუცოს ციხე-სიმაგრის აღდგენას მხოლოდ ერთი მილიონი სჭირდება“, – ჯერ კიდევ გასულ წელს აცხადებდა ლაშა ჩხარტიშვილი.

ხევსურეთში მდებარე შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ციხე – სოფელი მუცოს გადარჩენის მოთხოვნით, ინტერნეტში ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო.

„უნიკალური ისტორიული ძეგლი და, ამასთან, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუში – მუცო ინგრევა! ეს პროცესი უაღრესად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სხვადასხვა ექსპერტული შეფასებებით, ძეგლის 60% თითქმის დანგრეულია. აუცილებელია სასწრაფოდ დაიწყოს ციხე-სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროცესი და უპირველეს ყოვლისა განხორციელდეს მისი კონსერვაციის (გამაგრების) სამუშაოები.

ჩვენი მოთხოვნაა დაუყონებლივ (ერთი თვის ვადაში) გამოიძებნოს თანხები მუცოს გამაგრებითი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული უმნიშვნელოვანესი პროცესი დაიწყოს წელსვე და დასრულებულ იქნეს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, მოვითხოვთ, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა, შეასრულოთ თქვენი კონსტიტუციური მოვალეობა და არ დაუშვათ კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ნიმუშის, მუცოს განადგურება, რადგან ეს იქნება დანაშაული როგორ ჩვენი, ასევე სრულიად ცივილიზებული სამყაროს წინაშე“, – წერია საგანგებო წერილში.

მუცო ციცაბო კლდეზეა ნაგები და სამი მხრიდან მიუვალია. თითქმის დანგრეული ძეგლიდან აღდგენა-რესტავრაციას დაახლოებით 40% ექვემდებარება. რამდენიმე კოშკი სასწრაფოდ საჭიროებს შველას და გამაგრებას. შეთეკაურთა კოშკი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია. გასულ წელს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა პროექტის „ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივის“ ფარგლებში, მუცოს რეაბილიტაციაზე მომუშავე ჯგუფების კოორდინაცია მოახერხა და რამდენიმე სამუშაო შეხვედრაც ჩაატარა, თუმცა რეაბილიტაციის დაწყება ვერ მოხერხდა.

მუცო დუშეთის მუნიციპალიტეტში, პირიქითა ხევსურეთში, მდინარე არდოტის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ შატილიდან 12 კილომეტრში მდებარეობს. ციხე-ქალაქი, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება, პირიქითა ხევსურეთის შემორჩენილი ნასახლარებიდან უძველესია. მუცო 1769 წელს გადაუწვავთ და ნანგრევებად უქცევიათ, 1820 წელს კი შამილის მოლაშქრეებს აუოხრებით. ისტორიული წყაროების მიხედვით, ციხე-ქალაქი უკანასკნელმა მოსახლემ 1918 წელს დატოვა. ციხე-ქალაქი მუცო რთული რელიეფის სამ ტერასაზეა განლაგებული. ნაგებობები ფიქლისაა, წყობა – მშრალი. თერმოიზოლაციის მიზნით ფიქლებს შორის სიცარიელე დუღაბითაა ამოვსებული. ზემოთ პირველი, ოვალური ფართობის ტერასაა. ის ყველაზე ადრინდელია. ციხე-ქალაქი ჩრდილოეთიდან დაცულია თორღვაის კოშკით, სამხრეთიდან ციხე-სახლებით, ხოლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან – ციცაბო კლდის ქარაფებით. ტერასის შუა ნაწილში წმიდა გიორგის ხატი და მაღალი სათვალთვალო კოშკია. ხატის ახლოს, სამხრეთით, იყო ყორით შემოფარგლული ეზო, ე.წ. „ბროლის კალო„, ციხე-სოფლის ერთადერთი საჯინიბო. მეორე, შუა ტერასა, მთლიანად საცხოვრებელი ნაგებობებით იყო განაშენიანებული. შენობები ერთმანეთის მიჯრით დგას, მათი გარეთა კედლები საბრძოლო ზღუდეს ქმნის. ნაგებობები ძირითადად ოთხსართულიანია. ციხე-სახლებში პირველ სართულზე უმეტესად ბოსელია მოწყობილი, მეორე სართულზე საცხვარე (იშვიათად პირიქით). მე-3 და მე-4 სართულები, რომელთა ფართობი 40, 60 ან 70 კვ. მეტრია, საცხოვრებელია. მე-5 სართულს იყენებდნენ სურსათის მარაგის, სამუშაო და საბრძოლო იარაღის შესანახად. ზაფხულობით კი იქ ბავშვები აჰყავდათ. სათავსებს შენიღბული სარკმლები აქვს. სართულებს შორის კავშირი ხორციელდებოდა ჭერში დატანებული ხვრელობებით და მისადგმელი ხის კიბით. გვხვდება ხის მორზე ამოკვეთილი საფეხურებიანი კიბეებიც. მესამე სართულზე, ტრადიციულად, მოწყობილია კერა, რომელსაც აქვს სახანძრო იზოლაცია. საკვამლე ღიობი (საკვამი) ყველა ღიობზე მაღლა იყო. სარკმლები სათოფურების როლსაც ასრულებდა. ამიტომ მათი განლაგება და პროპორციები თავდაცვითი თვალსაზრისით განისაზღვრებოდა. ციხე-სახლები გადახურულია დახრილი ცალფერდა სახურავებით – სიპებით ან ბანით – ჭურხოთი, რომლის მცირე ნაწილი, ქვემოდან ამოსასვლელის ადგილი, ფიქლითაა გადახურული. ციხე-ქალაქის ყველა ქუჩას, ჩიხს, შესახვევს ან კიდეებს თავდაცვითი, საფორტიფიკაციო დანიშნულებითაც აშენებდნენ. ციხე-ქალაქის მესამე, ქვედა ტერასაზე, დაბლა, სოფლის სასაფლაოა. სადაც, განლაგებულია სამლოცველოები, მათ ადგილებს მოსახლეობა აკლდამებადაც იყენებდა.

მუცოზე უამრავი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი მუცოს საიდუმლო განძზე მოგვითხრობს. გადმოცემის თანახმად სოფლის მკვიდრნი მთავარანგელოზის ბროლისკალოს ხატზე ლოცულობდნენ. ისინი განთქმული მეომრები და მონადირეები ყოფილან და თავს წმინდა დროშათა არმიის მუდმივ წევრებად თვლიდნენ. რადგან იცავდნენ საუკუნეების განმავლობაში ხატისთვის მოძღვნილ საგანძურს. საიდუმლო საგანძურის ადგილსამყოფელი მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა. საგანძურიც და დროშაც მხოლოდ ხევსურთა უდიდეს დღესასწაულზე „ათენგენობაზე“ გამოჰქონდათ. ჩამოატარებდნენ მედროშენი ზანზალაკებიან დროშას, მუხლს მოიყრიდნენ მის წინაშე ხატის ყმები, გამორჩეულ საკარგყმოს ლუდით სავსე „ხატის თასებს“ ჩამოურიგებდნენ და იმათ მოსაგონარს სვამდნენ, ვინც სამშობლოსათვის დასდო თავი. მერე დაწყებულა ჟამიანობა, რომლის დროსაც საგანძურისა და დროშის სამალავების მცოდნეები დაიღუპნენ და საიდუმლო საფლავში თან წაიღეს. თუმცა დარჩა ლეგენდა, მუცოს მიუვალ კლდეებში დამალულ განძსა და დროშაზე. მუცოელებს სჯერათ, რომ განძს ვერავინ იპოვის, ვიდრე მუცოს მფარველი ხატი თავად არ ამოარჩევს ღირსეულს და ძილში არ უჩვენებს მის ადგილსამყოფელს.

როგორც კულტურის უწყებაში განმარტავენ, სარეაბილიტაციო პროექტი მზადაა, თუმცა პრობლემა კომპლექსურია და წელს მისი რეაბილიტაციის დაწყებაც ვერ მოხერხდება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი საფრანგეთში; 2. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 3. ტარიანი, ვერცხლის ან ოქროს ჭურჭელი, ღვინის სასმისი; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. გერმანული ტომები, რომლებმაც მე-5 საუკუნეში გაძარცვეს და გაანადგურეს რომი; 8. ჩინეთში გამოყვანილი პატარა დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 12. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი; 14. ნოდარ დუმბაძის რომანი; 16. ტანკსაწინააღმდეგო, თავდაცვითი თხრილი; 17. პეკინის ძველი სახელწოდება; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 20. საქართველოსი გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში.

**თარაზულად**: 5. ხასხასა მწვანე ფერის მინერალი; 6. ქართული გაზეთი; 9. ყვავის ნაშიერი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ქიშმიშის ძველი ქართული სახელწოდება; 13. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი. ელექტროტექნიკის დარგში; 15. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 18. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 22. საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისთვის; 23. ქვის ხანის უკანასკნელი ეპოქა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომეჩში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუტაცია; 2. ტაბა; 3. ბარბი; 4. ცვაიგი; 6. ქრისტინე; 9. ნოქარი; 13. მუხიანი; 14. შევროლე; 15. პალაცო; 17. მედეა; 18. შხარა; 20. რომი.

**თარაზულად:** 1. მეტეორი; 5. ქორქი; 7. ხარკოვი; 8. ტიბაანი; 10. მერია; 11. ბროლი; 12. ქოქოსი; 16. ბეტონი; 17. მუაში; 19. ხოკუ; 21. დაცანი; 22. ვეზირი; 23. როსინი; 24. სეზარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პუნსონი; 2. ბელუჩი; 3. აკვარელი; 4. რასემონი; 7. ნატახტარი; 8. წიწამური; 12. სპინინგი; 14. ლიმუზინი; 16. ქუთაისი; 17. ყაირათი; 19. საბა; 20. სვია.

**თარაზულად:** 5. გუჯაბიძე; 6. ესკალაცია; 9. პოეზია; 10. ჩინური; 11. აწმყო; 13. ოპუსი; 15. რისხვა; 18. გურჯი; 21. თითლიბანი; 22. იანვარი; 23. წაღვერი.

# მაჰაჩყალაში ჟურნალისტი მოკლეს



დაღესტანში გამომავალი გაზეთის „ნოვოე დელოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, აჰმედნაბი აჰმედნაბიევი მაჰაჩყალის გარეუბანში მოკლეს. ადრე ჟურნალისტზე მისი ლიკვიდაციის მიზნით თავდასხმა ორჯერ იყო განხორციელებული.

„სახლიდან 50 მეტრის დაშორებით უცნობმა პირებმა ჟურნალიტს აჰმედნაბი აჰმედნაბიევის ავტომობილს ცეცხლი გაუხსნეს. მიღებული ჭრილობებისაგან ის ადგილზე გარდაიცვალა“, – იუწყება დაღესტნის შს სამინისტროს წარმომადგენელი.

აღნიშნული გამოცემა 1991 წლიდან გამოდის. მოკლული ჟურნალისტი პოლიტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ასევე საბრძოლო კლუბის მთავარი მწვრთნელი, სამბოში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი მუსაილ ალაუდინოვი დაღესტანში მოკლეს. მას ღამით მახაჩკალა-კასპიისკის ტრასაზე გაუხსნეს ცეცხლი. დაღესტნის შს სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაციით, ალაუდინოვის კუთვნილ „ტოიოტას“ მარკის ავტომობილს ცეცხლი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუხსნეს. ალაუდონოვი ადგილზე გარდაიცვალა. ამჟამად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. დაღესტანი რუსეთის უდიდესი რესპუბლიკა ჩრდილოეთ კავკასიაში, მოსახლეობითაც და ტერიტორიულად.

# შეტაკებების შედეგად კაიროში 51 ადამიანი დაიღუპა

უკანასკნელი მონაცემებით, 51 ადამიანი დაიღუპა და 435 დაიჭრა კაიროში, ეგვიპტელ ჯარისკაცებსა და ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად.

ადგილობრივი მედიის ცნობით, დაღუპულთა შორის ერთი ეგვიპტის არმიის ოფიცერია. ამას გარდა, დაჭრილია 42 ჯარისკაცი, რომელთაგან რვა კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი მუჰამედ მურსი პოსტიდან 3 ივლისს გადააყენეს. მას უკვე წაუყენეს ბრალდება კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით.

ამ ფონზე მოძრაობა „ძმები მუსულმანების“ წარმომადგენლებმა ეგვიპტეში ახალი დემონსტრაციების გამართვის შესახებ მოწოდებები გაავრცელეს. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რასაც საპროტესტო აქციის დარბევა და რესპუბლიკური გვარდიის შენობასთან მასობრივი ხოცვა მოჰყვა, ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ქვეყანას, გამოვიდეს ქუჩაში და შეუერთდეს ახალ საპროტესტო მოძრაობას“, – განცხადა კოალიციის ლიდერმა ატემ აზამმა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სამხედროებმა ცეცხლი გაუხსნეს მოსახლეობას მას შემდეგ, რაც ხალხმა გვარდიის შენობის ღობეზე გადაძრომა სცადა. აღნიშნულ ყაზარმებში დაუდგენელი ვადითაა დაკავებული ეგვიპტის უკვე ყოფილი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი. პროტესტის მონაწილეების მტკიცებით, პოლიციამ და გვარდიამ დემონსტრაციის დარბევა გაუფრთხილებლად, დილის ლოცვის დროს დაიწყო. დროებითი ხელისუფლების განცხადებით, მომხდარის გამოსაძიებლად სასამართლო კომისია შეიქმნება.

ეგვიპტის დროებითი პრეზიდენტი ადლი მანსური მხარეებს სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ყველა ვალდებულია, გამოიჩინოს თავშეკავებულობა და ყველაფერზე მაღლა დააყენოს ქვეყნის ინტერესები. ადლი მანსურმა ბრძანება გამოსცა, სადაც ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ვადებია მითითებული. დოკუმენტის თანახმად, 15 დღის განმავლობაში კონსტიტუციურ ასამბლეას მოიწვევენ, რომელიც ქვეყნის მთავარი კანონში ცვლილებების მომზადებას შეუდგება. შემდეგ აღნიშნულ ცვლილებებს რეფერენდუმზე გაიტნენ, რომელიც უახლოეს ოთხ თვეში უნდა გაიმართოს. ამის შემდეგ თებერვალში საპრლამენტო არჩევნები ჩატარდება და მას შემდეგ რაც ქვეყანაში სრულფასოვანი პარლამენტი ჩამოყალიბდება, საპრეზიდენტო არჩევნების შესახებაც გამოაცხადებენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

ელენე ახმეტელი, ფირუზ კოჩობაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, ლერი ესაიაშვილი, ჯამბულ გაბუნია, მამუკა მოცრაძე, ნონა თავიდაშვილი, ლია მოსეშვილი, სვეტა ავეტიკიანი, დალი დარბაიძე, დონარა კინწურაშვილი, ნონა დუდუჩავა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან კარგი მეზობლის

**ნუნუ თურქია-ბეგლარიშვილის**

გარდაცვალებას. უსამძიმრებენ ოჯახსა და ნათესავებს.

---

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ელმომარაგების სამსახურის თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან, რომ სამსახურის ყოფილ მთავარ ინჟინერს, ბატონ შოთა ხურცილავას გარდაეცვალა მეუღლე, ქალბატონი

**ციცო კოვზირიძე-ხურცილავასი**

და გულწრფელად თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 9, 10 ივლისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 11 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: ფანასკერტელის ქუჩა, კორპუსი 15ა.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის ასისტენ-პროფესორს ლია გოგუას ძმის

**ლევან გოგუას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გეზის პარკთან შეკრებილი ხალხი კვლავ ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაშალეს



სტამბოლში პოლიციამ გეზის პარკთან შეკრებილი აქციის მონაწილეები კვლავ ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაშალა. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ რაც ხელისუფლებამ გეზის პარკის გახსნის შესახებ განცხადება გააკეთა და პარკი მხოლოდ სამი საათის გახსნილი იყო, ხალხი აქციისათვის პარკთან კვლავ შეიკრიბა. პოლიციამ სპეცსაშუალებების გამოყენებით შეკრებილები დაშალა.

„როიტერის“ ცნობით, დემონსტანტებს და პოლიციას შორის შეტაკება გვიან საღამომდე გრძელდებოდა. „ტაქსიმის სოლიდარობის“ ჯგუფის ინფორმაციით, რომელიც დემონსტრაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, პოლიციამ 80-ზე მეტი ადამიანი დააკავა. ერთი ადამიანი მძიმედ დაშავდა, იგი ახლომდებარე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სტამბულს მცხოვრებლებს ასევე ჰქონდათ მცდელობა შაბათს შეჭრილიყვნენ პარკში. თუმცა პოლიციამ ამ აქციის დაშლისასაც ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში დემონსტაციები 31 მაისს დაიწყო, როდესაც ეკოლოგებმა გეზის პარკში კომერციული ცენტრის მშენებლობა გააპროტესტეს. აქცია მალევე პრემიერისა და მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებში გადაიზარდა. დაძაბულობა ქვეყანაში ივნისის ბოლოს შედარებით განიმუხტა, თუმცა შაბათს პოლიციამ კვალავ გამოიყენა ცრენლსადენი გაზი დემონსტანტების წინააღმდეგ, რომელიც ტაქსიმის მოედანზე შეეცადნენ მსვლელობის მოწყობას. თურქეთის გამოსვლებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისიამ თურქეთს პოლიციის მიერ ძალის არასათანადოდ გამოყენების გამოძიება მოსთხოვა. თურქეთის სასამართლომ ტაქსიმის მოედნის განვითარების პროექტი შეაჩერა. პრემიერ რეჯეპ ტეაპ ერდოღანის თქმით, ის „ტაქსიმის გეგმასთან“ დაკავშირებით სასამართლოს დასრულებას დაელოდება. პრემიერმა მთავრობის ამ გეგმასთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვის იდეაც წამოაყენა.

# ბან კი მუნი სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტების ინსპექტირებას ითხოვს



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბან კი მუნი სირიის ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტების შესწავლას მოითხოვს. ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის პრესსამსახური სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

„მე იმედი მაქვს, რომ სირიის ხელისუფლება ითანამშრომლებს შესაბამის სტრუქტურებთან და ექსპერტებს საშუალება ექნებათ, ჩავიდნენ სირიაში და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეისწავლონ კონფლიქტისას ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტები. აღნიშნულ საკითხში თანამშრომლობა სირიისთვის ნდობის განმტკიცების პროცესში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება“, – ნათქვამია ბან კი მუნის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სირიაში მიმდინარე კონფლიქტისას ადგილი ჰქონდა ქიმიური იარაღის მასობრივი გამოყენების ფაქტებს. სამოქალაქო დაპირისპირება და კონფლიქტი სირიაში უკვე ორი წელია გრძელდება. ამ ხნის მანძილზე, გაეროს მონახემებით, დაიღუპა 80 ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო 2 მილიონზე მეტი ლტოლვილად იქცა.

– ამერიკის კონგრესის კომიტეტებმა სირიელი ამბოხებულებისათვის იარაღით დახმარების გეგმა გადადეს, რისი მიზეზიც იარაღის ისლამისტი შეიარაღებული მებრძოლების ხელში მოხვედრის საშიშროება გახდა, – აღნიშნულის შესახებ „როიტერი“ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების წყაროებზე დაყრდნობით წერს.

როგორც ცნობილი გახდა, ამ დრომდე სირიის ამერიკისაგან არავითარი სამხედრო დახმარება არ მიუღია. თუმცა ამის შესახებ განცხადება ამერიკამ ადრე გააკეთა. კონგრესში შიშობენ, რომ ამერიკის მიერ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მებრძოლთათვის გაგზავნილი იარაღი, შესაძლოა, ისეთი შეიარაღებული დაჯგუფების ხელში მოხვდეს, მაგალითად როგორიც „ნუსტრას ფრონტია“.

წყაროს ცნობით, გასულ თვეში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ცენტრალური სადაზვერვო საგენტოს დირექტორის მოადგილესთან ერთად დაზვერვის კომიტეტში გამოვიდა, სადაც სირიელი ამბოხებულების შეიარაღების გეგმაზე ისაუბრა, რაც ასადის ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე პასუხს წარმოადგენს. მოსმენის შემდეგ, კომიტეტის წევრებმა ამ გეგმასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვეს. სირიის ოპოზიციური ჯგუფები კი უკვე ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას და ვაშინგტონისაგან დაპირებული შეიარაღების მიწოდებას ელიან.

# ავღანეთში ამერიკელი სპეცრაზმელი დააკავეს



ავღანეთის ხელისუფლებამ დააკავა ამერიკელი თარჯიმანი, რომელიც ეჭვმიტანილია მშვიდობიანი მოსახლეობის წამებისა და დახოცვის პროცესებში მონაწილეობაში. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყანდაგარში დაპატიმრებული თარჯიმანის საცხოვრებლის ჩხრეკისას სამართალდამცავებმა 3 პისტოლეტი, პორტატული კომპიუტერი და რამდენიმე ყალბი პასპორტი აღმოაჩინეს.

ზაკარი კანდაჰარი ავღანეთის ხელისუფლების მიერ იძებნებოდა 17 ავღანელის დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ავღანელების გაუჩინარების ფაქტს უკავშირებენ ამერიკული სპეციალური დანიშნულების რაზმს, სადაც კანდაჰარი მუშაობდა.

ამერიკის შეერთებული შტატების არმია უარყოფს ავღანელების გაუჩინარებასთან რაიმე ფორმით კავშირს. ექსპერტების აზრით, აღნიშნული ინციდენტი გავლენას მოახდენს შტატებსა და ავღანეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს.

შეგახსენებთ, რომ უსაფრთხოების შეთანხმების თანახმად, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავღანეთს შორის უნდა გაფორმდეს, ამერიკელი სამხედროები, შესაძლოა, ავღანეთში 2014 წლის შემდეგაც დარჩნენ.

– აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისთან არსებული უთანხმოების ფონზე, ავღანეთის ჯარების გამოყვანის პროცესის დაჩქარების შესაძლებლობას განიხილავს, – ამის შესახებ გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსი“ წერს.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, ორი ქვეყნის ლიდერის ურთიერთობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც აშშ მოძრაობა „თალიბანთან“ კონტაქტების დამყარებას შეეცადა. ამან კარზაის უკმაყოფილება გამოიწვია. ორი ქვეყნის ლიდერს შორის გამართულ ვიდეოკონფერენციაზე, ავღანეთის პრეზიდენტმა ობამა პაკისტანთან და „თალიბანთან“ შეთანხმების გაფორმების მცდელობაში დაადანაშაულა, რაზეც ობამამ შეახსენა, რომ მისი მთავრობის მხარდაჭერისთვის, ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცები იღუპებიან.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ ვაშინგტონმა სერიოზულად დაიწყო განხილვა ე.წ. „ნულოვანი ვარიანტისა“, რომლის მიხედვითაც ავღანეთში ერთი ამერიკელი ჯარისკაციც კი არ დარჩება.

გარდა „თალიბანთან“ მოლაპარაკებებისა, ორი ქვეყნის ლიდერებს შორის უთანხმოება სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც არსებობს. კარზაი აშშ-ს რეგიონში რადიკალ ისლამისტური განწყობის გაძლიერებაში ადანაშაულებს. თავის მხრივ, აშშ ეჭვობს, რომ ჰამიდ კარზაი კონსტიტუციის გვერდის ავლასა და ორი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ ხელისუფლებაში დარჩენას გეგმავს.

ამ ეტაპზე, ავღანეთში სულ 63 ათასი ამერიკელი სამხედრო იმყოფება. 2014 წლის თებერვლისთვის მათი რიცხვი 34 ათასამდე უნდა შემცრიდეს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 10 ივლისი**

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** "AQUA – GEORGIA" **18.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **19.05** ტ/სერ "**მაგდა ემი**" **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ "**ნიკიტა**" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** მხ/ფ "ცეცხლოვანი კედელი" (ჰ.ფორდი) **01.20** "დღეს ორის ნახევარზე"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" **14.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **16.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **3** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **5** სერ. **22.00** ფულთან თამაში **23.00** სერ. "**სტალინის ცოლი**" **1** სერ. **01.15** მხ/ფ. "**კეთილი ჯონი**" (ა.საიფრედი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ნანუკას შოუ. **00.30** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** მხ/ფ "**დანტეს პიკი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.40** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.20, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** სახარება ოთხთავის წმინდა გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესახებ-ედიშერ ჭელიძე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ისტორიის გაკვეთილი **15.55** კონცერტი - ნიკა რაჭველი **16.55** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ცისკრის ზარები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კირიონ II" **00.15** საეკლესიო კალენდარი **00.45** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.00** ირაო

**8.30** მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **10.00** მხ/ფ **მისტერ პიტკინი ყირამალა** **12.00** მულტ/ფ დრაკონების მომთვინიერებელი **14.30** მხ/ფ **ხუთი ბავშვი და მაგია** **16.00** მულტ/ფ მძინარე მზეთუნახავი **18.00** მულტ/ფ მულანი **21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მხ/ფ **ძიძები**

მაესტრო **7.00, 23.30, 1.00, 3.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **11.00** ღია კარის დღე(გამ.) **11.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი/ (გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 0.00, 3.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **22.00, 1.30, 5.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 ივლისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6533 | ევრო — 2,1276 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4672 | 100 რუსული რუბლი — 4,9677 |

**ამინდის პროგნოზი 10 ივლისისთვის**





# მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

## სერია „ეს სამყარო“ „ახალ თაობასთან“ ერთად



გამოგონებები | რაინდები და ციხე-კოშკები | მწერები და ობობები | მფრინავები | ოკეანეები | პოლარული სამყარო | რეპტილიები | ტროპიკული ტყეები | ზვიგენები


# მუცოს ციხე-კოშკები ნადგურდება

ეკა ირემაშვილი



ხევსურეთში მდებარე მუცოს უძველესი ციხე-კოშკები ნადგურდება. ბოლო პერიოდში კიდევ ერთი საშუალო ზომის კოშკი ჩამოიშალა და ახალი ბზარები გაუჩნდა. ძეგლზე მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მის სანახავად ჩასულ ტურისტებს საგანგებოდ აფრთხილებენ კიდეც, თუმცა, მიუხედავად აკრძალვისა, ადგილზე ყოველდღიურად 20-დან 30-მდე ვიზიტორი ჩადის.

ხევსურეთში მდებარე ძეგლი ზღვის დონიდან 1880 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ორიგინალური არქიტექტურა ტურისტებისთვის მიმზიდველი და პოპულარულია. მუცო უკვე 12 წელზე მეტია, ინგრევა. პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. არქიტექტორების თქმით, ყოველ ზამთარს, დიდთოვლობის შედეგად, ძეგლის მდგომარეობა უარესდება. კლდეზე შეფენილი ნაგებობა სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. პრობლემას ციხესიმაგრის მიუდგომლობაც ქმნის. ცნობილია, რომ სახელმწიფოს მუცოს ხეობა პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

„ხევსურეთის ტერიტორიაზე, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების – ციხე-კოშკების ნაშთების, ჯვარხატებთან დაკავშირებული ნაგებობების, ხევსურული საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლისათვის 2008 წელს ფართომასშტაბიანი სამუშაოები განხორციელდა. გამოვლინდა და აღინუსხა პირაქეთა ხევსურეთის ძნელად მისასვლელ მთის კალთებზე გაბნეული ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები, შესრულდა მათი ფოტოფიქსაცია, გამოიხაზა გეგმები, დაზუსტდა ძეგლების ადგილმდებარეობა, დაფიქსირდა ძეგლების კოორდინატები, განისაზღვრა არაერთი ძეგლის ფუნქცია. ინვენტარიზაციის შედეგად, დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის (საკულტო, თავდაცვითი და არქეოლოგიური) უკვე არსებული და ახლად გამოვლენილი 85 ობიექტი. მათ შორის კომპლექსები, რომლებიც რამდენიმე ნაგებობას მოიცავენ, ასევე მუცოს კომპლექსიც. მუცოს კომპლექსი კავკასიის მაღალ მთიან და სახლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიუვალი სიმაგრეა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუცო აკონტროლებდა კავკასიის ქვეყნების და მაკავშირებელ გზას და იცავდა საქართველოს საზღვარს. სიპი ქვის, მშრალი წყობით ნაგებ ტერასულად განვითარებულ განაშენიანებაში, ძლიერი ნგრევის მიუხედავად, ჯერ კიდევაა შემორჩენილი ურბანული,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ასტროპროგნოზი
10 ივლისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — იყავით თვითკრიტიკული, თორემ სხვები გაგაკრიტიკებენ. **ღრიანკალი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — ნუ აყვებით ჭორებს, არ ღირს. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, დღეს ნამდვილად გჭირდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 2. სოფლის ორღობე; 3. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 4. კომბინაცია პოკერში; 6. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 9. მონასტერი ახალციხის რაიონში; 13. ჰიმნებისა და საგალობლების კრებული ქართულ მითოლოგიაში; 14. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 15. შოტლანდიელი მათემატიკოსი ლოგარითმების შემქმნელი; 17. ნაკეთობის ზედაპირის გასაპრიალებლად გამოყენებული, ვულკანური წარმოშობის, ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 18. მინერალური წყალი სამეგრელოში; 20. ეგრისის მეფე მე-6 საუკუნეში.

**თარაზულად**: 1. წმინდად დაკეპილი ხორცის, თევზის და სხვა პროდუქტებისგან მომზადებული საუზმეული; 5 ჯაკომო პუჩინის ოპერა; 7. ციური სხეული; 8. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 10. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 11. ფულის ერთეული ვიეტნამში; 12. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 17. პერიოდული ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 19. ცხვრის ქონიანი კუდი; 21. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 22. საბავშვო ქალაქი თბილისში; 23. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# აჩიკო ნიჟარაძე „სლავიანსკი ბაზარზეა“

ეკა ირემაშვილი



„სლავიანსკი ბაზარი“ 2013 დაიწყო. წელს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი 22-ედ გაიმართება. საქართველოს წარმომადგენელი წლევანდელ ფესტივალზე აჩიკო ნიჟარაძეა, თუმცა, როგორც ფესტივალის ოფიციალურ პროგრამაშია მითითებული, საქართველოს კიდევ მეორე კონკურსანტი, ლენკა, წარადგენს, რომელიც ფესტივალის საბავშვო კატეგორიაში მონაწილეობს.

აჩიკო ნიჟარაძე „სლავიანსკი ბაზარზე“ უკვე გაემგზავრა. საქართველოს დატოვებამდე მომღერალმა აღნიშნა, რომ ის იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსთან, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან, რომელმაც კონკურსანტი დალოცა. აჩიკო ნიჟარაძემ პირობა დადო, რომ საქართველოს მაქსიმალურად ასახელებს:

„პატრიარქთან ვიყავით და გზა დაგვილოცა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რომ მომესწრო შეხვედრა წასვლამდე. უდიდესი ძალა აქვს პატრიარქის დალოცვას. ვეცდები, ისე გამოვიდე, როგორც ჩვენ ქვეყანას შეეფერება. იმედი მაქვს, ჩემს მონდომებასთან ერთად, ცოტა გამართლებაც იქნება, რომ წარმატებას მივაღწიოთ. დიდი მადლობა წინასწარ გულშემატკივრობისთვის“, – დაწერა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მომღერალმა.

„სლავიანსკი ბაზარი“ წელს 17 ივლისამდე გაგრძელდება. ის, ტრადიციულად, ბელორუსიის ქალაქ ვიტებსკში გაიმართება. ფესტივალი ტარდება როგორც უფროსი თაობის მომღერლებში, ასევე საბავშვო კატეგორიაშიც. წელს საბავშვო ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ქართველი მომღერალი მანანა თოდაძეა.

წლევანდელ კონკურსში 20-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის საქართველო, სომხეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცოეგოვინა, გერმანია, იტალია, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, რუსეთი, რუმინეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ფინეთი, ესტონეთი. ავსტრალია, ხორვატია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი.

კონკურსანტების გარდა, ფესტივალზე მიწვეული არიან მსოფლიოში ცნობილი მომღერლები. „სლავიანსკი ბაზარზე“ წელს შეკრებილი მაყურებლისთვის იმღერებენ კრისტინა ორბაკაიტე, ელენა ვაენგა, იულია სავიჩევა, ლეიონიდ აგუტინი, ანჟელიკა ვარუმი, ვლადიმერ პრესნიაკოვი, ნიკიტა პრესნიაკოვი, ტატიანა ბულანოვა, ალექსანდრე მალინინი, ედიტა პიეხა, ნადეჟდა ბაბკინა, ალექსანდრე სეროვი, ლარისა დოლინა, დიმა ბილანი, პოლინა გაგარინა, სტას პიეხა, წლევანდელი ევროვიზიის გამარჯვებული ემილი ფორესტი, ალ ბანო, ინ გრიდი, ჯიპსი კინგი, ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ორკესტრი, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მომღერლებიც მანანა თოდაძე და კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი. დაგეგმილია „მეგობრობის კონცერტების“ ჩატარებაც. კონცერტების გარდა, ხელოვნების ფესტივალის ეგიდით ჩატარდება თეატრალური საღამოები, სადაც საკუთარ სპექტაკლებს რუსეთის თეატრები გაითამაშებენ.

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის საზეიმო გახსნა 11 ივლისს გაიმართება, სადაც ცნობილი მომღერლები საზაფხულო ამფითეატრში გრანდიოზულ გალაკონცერტს გამართავენ. 12 ივლისს ჩატარდება კონცერტი-პრეზენტაცია „სლავიანსკი ბაზარის“ მონაწილეების წარსადგენად. აჩიკო ნიჟარაძე ფესტივალის ჟიურისა და მსმენელის წინაშე პირველად 13 ივლისს იმღერებს. მეორედ ქართველი კონკურსანტი კონკურსში 14 ივლისს ჩაერთვება. ფესტივალის საზეიმო დახურვა, დაჯილდოების ცერემონიალი და გალაკონცერტი 15 ივლისს შედგება. ფესტივალის ბოლო ორი დღე – 16 და 17 ივლისი უკვე ცნობილ ვარსკვლავებსა და თეატრალურ დასებს უმასპინძლებს.

# ზესტაფონს სერბი მწვრთნელი გაწვრთნის



გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ზესტაფონს“ სერბი სპეციალისტი, რატკო დოსტანიჩი ჩაიბარებს. სერბი უკვე სტუმრობდა იმერულ ქალაქს, მოინახულა სტადიონი, ბაზა, ესაუბრა კლუბის ხელმძღვანელობას.

შეგახსენებთ, რომ მანამდე „ზესტაფონი“ მოლაპარაკებებს გია გეგუჩაძესთან აწარმოებდა, თუმცა კლუბსა და მწვრთნელს შორის გარიგება არ შედგა.

რაც შეეხება რატკო დოსტანიჩს ბიოგრაფიას, ვერ ვიტყვით, რომ ტიტულოვანი მწვრთნელია. თუმცა წრთვნიდა საკმაოდ კარგ გუნდებს, მათ შორის სერბეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს „ცრვენა ზვეზდას“ და ასევე ბულგარეთის კლუბ „ლევსკის“. მისი მონაგარი 18 წლიან სამწვრთნელო კარიერაში ბულგარეთისა და სერბეთის 2 სუპერთასია.

რატკო დოსტანიჩი მწვრთნელობამდე ფეხბურთელი იყო და მცველის პოზიციაზე თამაშობდა. მას კარიერის დიდი ნაწილი საფრანგეთში აქვს გატარებული. 1988-90 წლებში საფრანგეთის ერთ-ერთ ცნობილ კლუბ „ლე მანში“ თამაშობდა, მანამდე კი ერთი სეზონი ასევე ერთ-ერთ ცნობილ კლუბ „კაენში“ გაატარა.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი